რაჭავ, ჩემო თვალის ჩინო...

რეჭველები

№ 3 (77) 1.03.2016 - 1.042016 ფასი: 2 ლარი ყოველთვიური გამოცემა

ვილოცავთ 3 და 8 მარტს

ჩვენ ჯვარედინის ჩვენებულმა ეპარქიის ოთხეულ დაბადებულ ჩვენს ოჯახებს უღრმესი იუბილეს

ქეთევან ხმელიძე

როზმარი გვენცაძე-ახვლედიანი

მზია დავითულიანი

ზურაბ ქევანიშვილი

გურამ საღარაძე

თეიმურაზ ციმაკურიძე

სარჩევი

ლამაზი ქალის
პატრონსა..... 2

ეკა პატარაია
კანონიერების განხორციელებაზე
ზედამხედველი პროკურორის
ჩანაწერები 4

ნინო რეხვიაშვილი —
„ვაი თუ ვინმე მოვიდეს და“.....7

ყურმოკრული
ამბები რაჭიდან.....8


საქართველოში მეღორეობისა
და ლორის წარმოების
ახალი პროექტი იწყება.....10

ირმა მირზაშვილი
საკუთარი ხელით შექმნილი
სამოთხიდან ზეციურ
სამოთხემდე! 11

ლარისა გაზაშვილი
როგორ ასახავს
გორის სამუზეუმო კომპლექსი
სტალინის პიროვნებას.....15

ვილემ მარდალეიშვილი —
აჩრდილების გამოხმობა.....18

ქართული ფოლკლორის
მოამაგე 20

მედეა გოცირიძე —
ხოტევი — ჩემი ბავშვობის
ტკბილი წარსული 24

პატიშვილების
გენიალოგია.....27

ნელი ჩხარტიშვილმა —
შენს ხელებს
ვეამბორები 28

გრიგოლი და ვლადიმერ
ჯაფარიძეები.....30

გივი სიხარულიძე
მეყვავილე ავთო..... 32
სიცოცხლის მოწმობა..... 33

ჩემი სულის გაზაფხული..... 35

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი
ქალბატონებს
ულოცავს 3 და 8 მარტს..... 36


ეკა პატარაია
როგორ აღმოაჩინა ზურაბ
ქაფიანიძემ შუმერული ანბანის
რიცხვობრივ-ხაზობრივი და კოს-
მიური სისტემის ფორმულა 38

ნინო რეხვიაშვილი —
ცოტნეს მხრებს საქართველოს
დროშა უმშვენებს 40

მთავარი რედაქტორი —
ნინო რეხვიაშვილი
ტელ: 599 74 68 10
დამფუძნებელი —
გოჩა გუტაშვილი
ტელ: 599 53 58 94
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარშეიშვილი
ტექსტი ააწყო
თამარ გოგინაძემ
მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი “რაჭველები” ემიგრანტ რაჭველებს და არა მარტო მათ, გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს _ გამოგვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები, რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.

ტელ: 599 74-68-10

ძვირფასო მკითხველო!
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

ლამაზი ქალის პატრონსა...

მიწიური ყოფიერების მარადიული მეტამორფოზა, შობა და აღზრდა, დაღუპვა და კვლავ წარმოშობა - ესაა განუწყვეტელი და დაუღალავი ჯაფა დედებისა და თუ დედამიწაზე ყველაფერი განახლებადი განაგრძობს არსებობას - უწინარეს ყოფლისა, დედობრივი საწყისი - გასაგები ხდება, რომ შემქმნელ ღვთაებას მივცეთ ქალთა სახე და ვუწოდოთ საპატიო სახელი დედებისა.

ყოველივე მშვენიერი ადამიანში მზის სხივებისა და დედის რძისგანაა, სანამ კაცს დედა ჰყავს, ის სულ ახალგაზრდად ითვლება. დრო ვერ კლავს დედას, ვერ დაგავიწყებს. მის ასიათასჯერ ხელმონაკიდებ კედელყურეს რომ ვუბრუნდებით, დედა სამარადისოდ ცოცხლდება.

ჩვენთვის, ქართველთათვის დედა მარტო მშობელი როდია, ქართველი თავის ენასაც „დედა ენას" ეძახის, უფროსს ქალაქს „დედა ქალაქს", მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას - „დედაბოძს", უდიდესს და უმაგრესს „დედაბურჯს",

ხედავთ, რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამდენად გამრავალფეროვნებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით, ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა! სიტყვა ქალი განა იმოდენს გვეტყვის, რასაც „დედა" გვეუბნება? დედის ხელები? - ალერსიანობის განსახიერებაა. დედის ხმა? - წყაროს წკრიალი და სიმია. დედის შეუდარელი სამკაული კი სათნოება და სინაზეა. დედის საფლავი ძეგლია მარადიულობის შარავანდელით გაბრწყინებული.

ბებო ხომ დედის ნექტარით გაჯერებული თაფლია ჩვენი ცხოვრებისა. ბებიას გამომცხვარი კვერი ტკბილიაო, ამბობენ.

მაგრამ ქალი ბებიობის ასაკისა იქნება თუ კიდევ უფრო ახალგაზრდა, მისი ავგაროზი სისადავე და უბრალოებაა.

კოკო შანელი ამბობს: არაფერი ისე არ აბერებს ქალს, როგორც მდიდრულად ჩაცმაო. იმასაც ამბობს შანელი, „ყველა ქალი ლამაზი როდი იბადება, მაგრამ თუ 30 წლის ასაკში ლამაზ ქალად არ იქცევა, ის უბრალოდ ბრიყვია-ო". შეუძლებელია არ დაეთანხმო ამ ფრაზების ავტორს. სიმწიფის ასაკში ქალი მოსაკრეფად გამზადებულ ვენახს ემსგავსება, რომელიც თავის სიტკბოთი და მშვენიერებით თვალსა და გულს გტაცებს.

ქალისთვის ყველაზე უკეთესი ასაკი მიმზიდველობის მხრივ 45 წელი ყოფილა. ქალი ხომ ტრფობისთვისაა გაჩენილი, სატრფიალო საგანი კი

არასდროს ბერდება.

ქართველ ქალებზე ამბობენ საქართველო ლამაზმანების ორანჟერეა გახლავთო.

„საქართველოში ყველაფერი კარგია, მაგრამ ქართველ ქალებზე უმშვენიერესი მე არაფერი მინახავს. მე მათი შემყურე, უნებლიეთ განცვიფრებაში მოვდიოდი. ამ ქვეყანას კაცმა შეიძლება უწოდოს სავანე. აქ ხშირად შეგიძლიათ ნახოთ ულამაზო და შეუხედავი დედაკაცი. თოთქოს ყოველ ნაბიჯზე გვხვდებიან ლამაზმანები“ - ამბობს იოსებ დელაპორტი.

ხსოვნა სილამაზის შესახებ არ ბერდება. თავად სილამაზე კი ... რაოდენ ამაყი ხარ როდესაც მიდიხარ ქუჩაში და თვალს გაყოლებენ, რაოდენ ძნელი გადასატანია, როცა ეს აღარ არსებობს...

მაგრამ მარტო სილამაზე იას წააგავს, რომელიც ძალიან მალე დაჭკნება. დიახ, ყოველ ღირსებას მოკლებულია ის ქალი, რომელიც მხოლოდ სილამაზით იწონებს თავს. ლამაზი ქალი თვალს მოსწონს, კეთილი-გულს, პირველი-ლამაზი ნივთია, მეორე- საუნჯე უკდემო. სილამაზე ყვავილია, თავის შტოს მიმაგრებული. ქალის შეუდარებელი სამშვენისი გონებაა.

და მაინც, ამბობენ მამაკაცები ლამაზ ქალს ბუზებივით ეხვევიან, მაგრამ ცოლად რატომღაც სრულიად უბრალოები მოჰყავთო. არსებობს ხალხური ლექსი:

,,ლამაზი ქალის პატრონსა
ძაღლი უნდა ჰყავდეს ფრთხილი,
ან ძაღლი უნდა ფრთხილობდეს
ან და ქალის დედამთილი“.

თუ ბალზაკს დავეყრდნობით, ქალი თუ მეუღლისგან შესაფერის პატივისცემას და სიყვარულს გრძნობს, ის სხვისკენ არასდროს გაიხედავს. მამაკაცს, რომელსაც შეუძლია მართოს ქალი , მას მსოფლიოს მართვაც თამამად შეეძლება. ქალი სამოთხეა, ქალი სითბოს, სიყვარულის, სილამაზის, სიცოცხლის ფუძე და საძირკველია. ქალი სრულიად სამყაროა, ქალი ცხოვრების საკაზმია. ქალი ეს არის ცა, მაგრამ ეს ცა ისე შორსაა მამაკაცისგან, როგორც მიწა ცისგან.

ქალი სიყვარულში ჰგავს არფას, რომელიც თავის საიდუმლოს ანდობს მხოლოდ მას, ვინც მასზე კარგად უკრავს.

ეს მუსიკოსები კი მამაკაცები არიან. დედაკაცი და მამაკაცი - ესაა ორი ნოტი, ამის გარეშე ადამიანის სული სრულ და სწორ აკორდს ვერ შექმნის.

,,სამოთხე იყო...
დედაკაცმა დაგვაკარგვინა,
საწმისი იყო...
დედაკაცმა დაგვაკარგვინა,
დანაშაული?
თუ გიყვარდე,
მეტი რა გინდა?
სამაგიეროდ, დიაცმავე იესო გვიშვა,
სამაგიეროდ,
დიაცმავე რუსთველი გვიშვა,
ეს კი, მე მგონი,
თუ შენც იტყვი,
ცოტას არ ნიშნავს“.

მასალა მოამზადა
ნინო რეხვიაშვილმა



კანონიერების განხორციელებაზე ზედამხედველი პროკურორის ჩანაწერები

ვახტანგ რაზმაძე

„...საერთოდ მკაცრი ვარ, მაგრამ არაჩვეულებრივად ლმობიერი, როცა სიმკაცრე გამივლის. მომენტალურად მიყვარს რეაგირება დარღვევაზე. შეიძლება, რეაქცია გადაჭარბებული იყოს, მაგრამ არა მრცხვენია, რომ ჩემ მიერ შერისხული ადამიანი რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიყვანო, მოვეფერო და მასთან ადამიანური ურთიერთობა გავაგრძელო... ის, რასაც ჩემზე ლაპარაკობენ, თითქოს ვიღაც ძალიან მკაცრად დავსაჯე, რაზმაძე სადისტია და სხვა, ეს ყველაფერი ჭორია... დესპოტი არა ვარ!.. პროკურატურის ორგანოებში 33 წელი ვიმუშავე და პროფესიონალიზმისთვის არასოდეს მიღალატია!..”

ყველა დროის საუკეთესო პროკურორი, პროკურატურის პატრიარქი... ასეთად მოიხსენიებს ვახტანგ რაზმაძეს საზოგადოების, ძველი პოლიტიკოსებისა და ჩინოვნიკების ერთი ნაწილი, როცა კი ლაპარაკი მასზე ჩამოვარდება, ხოლო მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ის ყველაზე უხეში, საბჭოთა კავშირის უბეში გამოწვრთნილი, ბერიას ანალოგი გენპროკურორი იყო – მან ქვეყნისა თუ ცალკეული პიროვნებების ცხოვრებაში ძალიან ცუდი როლი ითამაშა და უსამართლო გადაწყვეტილებები მიიღო. ასეა თუ ისე, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ადამიანის ცხოვრება, როგორც პროკურორისს, მისი გარადაცვალების შემდეგაც არ არის ინტერეს მოკლებული, პირიქით. მაშ ასე:

„რაც მითქვამს და დამიწერია”

„თუ რაიმე შეცდომას უშვებდნენ მართლმსაჯულების ორგანოები, ყველაფერს პროკურატურას აბრალებდნენ”... დავიწყოთ რეფორმით, რომელიც გატარდა პროკურატურის ორგანოებში. ჩემის აზრით, ეს რეფორმა (მისი ნაწილი მაინც) აუცილებლად გასატარებელი იყო, რომ პროკურატურა გათავისუფლებულიყო იმ ზედმეტი ტვირთისა და მოვალეობისგან, რომელიც პოლიციასა და სასამართლოს საშუალებას აძლევდა, თავიანთი ყველა ცოდვა პროკურატურისთვის გადაებრალებინათ... მაგალითისთვის: იყო ერთი ცნობილი ბანდიტი, არაადამიანური ძალის მქონე დურუ ხურცილავა. მას ჩადენილი ჰქონდა მრავალი ძარცვა, მკვლელობა, ყაჩაღობა. გამოძიების პროცესში ის მოთავსებული იყო თბილისის იზოლატორში, მაგრამ იზოლატორის ადმინისტრაციამ და შს სამინისტროს ხელმძღვანელობამ ვერ მოუარეს. ხან კამერის კარებს ჩამოხსნიდა, ხან ონკანებს მოუშვებდა და კამერებს წყლით აავსებდა, დაბადების დღე გადაიხადა ციხეში და შემწვარი გოჭები და ნაძვის ხე მიართვეს. ერთხელაც თავისი სხეულის ერთი უხერხული ადგილი მაგიდაზე ლურსმნით მიაჭედა. შს სამინისტრომ სხვა გამოსავალი რომ ვერ ნახა, ფოთის ციხეში გადაიყვანა, სადაც ციხის ადმინისტრაციამ, მისი გული რომ მოეგოთ, ყველა კამერის გასაღები ჩააბარა და რასაც უნდოდა იმას აკეთებდა. როცა სურვილი ჰქონდა, ქალაქში გამოდიოდა სასეირნოდ და საქეიფოდ. ერთ მშვენიერ დღეს რამდენიმე პატიმარი ქალი გააუპატიურა. ციხის უფროსს ტაბელური „მაკაროვის” სისტემის პისტოლეტი წაართვა და წავიდა ციხიდან... შს სამინისტროს ხელმძღვანელობისთვის თითქმის არაფერი უთქვამთ იმ უმწეობისთვის, რასაც მის მიმართ ციხეებში იჩენდნენ. რესპუბლიკის პროკურორი ტაკიძე და მისი მოადგილე ჯიბლაძე კი დასაჯეს იმისთვის, რომ მისი საქმის გამოძიება გაჭიანურდა...

“...ფაქტები ასეთია და დაინტერესებულ პირებს

მისი სინამდვილის გადამოწმება ყოველთვის შეუძლიათ"

მე არ ვარ ის კაცი, რომ თავის მართლება დავიწყო, თუ შეცდომა მაქვს დაშვებული. მაგრამ, არც ისეთი ვარ, ვინმეს რაიმე ვაპატიო თუ დაუმსახურებლად შეეცდება ჩემი სახელის გატეხვას!...ჩემი მუშაობის პერიოდში არასოდეს მიცდია, ვინმესთვის ფეხი ამეწყო. ვიყავი კანონიერების განხორციელებაზე ზედამხედველი-პროკურორი, ვიცავდი კანონის მოთხოვნას და ეს რამდენად აწყობდათ ხელმძღვანელებს, მათი გადასაწყვეტი იყო... პრობლემები, როგორც პროკურორს, ხელმძღვანელობის მხრიდან, კომუნისტების დროს, გამსახურიდას დროს და მის შემდეგაც ერთნაირი მქონდა. კანონი და მისი დაცვა არც ერთ ხელმძღვანელს არ უყვარს... ამიტომ, ჩემი როლი ძალიან მძიმე გახლდათ. ხშირად იყო იმის მცდელობა, უდანაშაულო ადამიანები დაეპატიმრებინათ, ამიტომაც მიძნელდებოდა მუშაობა. ყოველთვის მზად ვიყავი, თუ ჩემს პრინციპებს ვერ გავიტანდი, უარი მეთქვა თანამდებობაზე, მაგრამ ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და 99 პროცენტი ყოველთვის გამქონდა. როცა ვეღარ შევძელი ჩემი პრინციპების გატანა, მუშაობასაც თავი დავანებე. გამსახურდია თავის მოწოდებით, ყველაზე უფრო მეტად უნდა ყოფილიყო ადამიანის უფლებების

დამცველი. ხელისუფლებაში მისი მოსვლით იმიტომ იყო აღფრთოვანებული ხალხი, რომ დარწმუნებულნი იყვნენ, სამართლიანობა გაიმარჯვებდა... მას არავის აზრის გაზიარება არ სურდა და რასაც თვითონ აკეთებდა, მხოლოდ ის მიაჩნდა სიმართლედ... როცა კომუნისტების დროს პროკურორი ვიყავი, ის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას ხელმძღვანელობდა. გვქონდა შეხვედრები და მან იცოდა ჩემი დამოკიდებულება კანონის დაცვისადმი... ჩემი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო, თითქმის ყოველდღიური შეხვედრები მქონდა ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან და მის აქტიურ მონაწილეებთან... ეს ის პერიოდია, როცა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამართლადამცავი ორგანოები უდიდეს ზეწოლას განვიცდიდით ამ პირებისგან...

...საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა მიხეილ ოსაძემ მთხოვა გადამეცა მისთვის იმ პირთა სია, ვის დაპატიმრებასაც ითხოვდა ჩემგან გამსახურდია, თუ ასეთი გამაჩნდა. ეს სია ჩემთან იყო და გადავეცი ბატონ მიხეილს. გაზეთმა „საქართველომ" 1997 წლის 2-5 აგვისტოს ნომერში გამოაქვეყნა ეს სია, ხოლო ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში გამოქვეყნდა ნოდარ ნათაძის კომენტარი ამ სიასთან დაკავშირებით, სადაც ის წერს: „მე ამ სიის შესახებ დამატებითი მასალა მაქვს. ეს სიყალბე შეთხზულია საქართველოს პროკურატურაში ან გადაცემულია საქართველოს პროკურატურისთვის იმ მიზნით, რომ იმდროინდელი ხელისუფლების არადემოკრატიული ბუნება დაამტკიცოს... რაზმაძე, მართალია, პრეზიდენტ გამსახურდიას ხელქვეითი იყო, როგორც გენერალური პროკურორი, მაგრამ როგორც გაირკვა შემდგომ, მალულად მუშაობდა მის წინააღმდეგ..." საკუთარი ღირსების დამცირებად მიმაჩნია ვამტკიცო, რომ ეს სია ნამდვილად მიკარნახა გამსახურდიამ... ამას აკეთებს კაცი, რომელიც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის პირველი დღიდან ოპოზიციაში ედგა მას. მათ შორის დაძაბული ურთიერთობა იქამდე მივიდა, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სამკურნალოდ წასვლას ურჩევდნენ ერთმანეთს... გარკვეული დროის განმავლობაში უზენაესი საბჭოს სხდომაზე არ უშვებდნენ, ხოლო რამდენჯერმე, როცა ის მაინც ცდილობდა, შესულიყო მთავრობის სასახლეში სესიის სდომაზე მონაწილეობის მისაღებად, ეზოში, შესასვლელ ჭიშკართან ზვიადისტი ქალები შეეცადნენ გასალახად წასწვდომოდნენ... ქალები ცდილობდნენ, სხეულის დაზიანება მიეყენებინათ ერთობ უხერხულ ადგილებში... შევედი პრეზიდენტთან და მოვახსენე, რომ კიტოვანის და სიგუას დაკითხვა ვერ ხერხდება. დაკითხვის შემდეგ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, ხოლო დანარჩენი პირების მიმართ არც ერთ სამართალდამცავ ორგანოში არავითარი მასალა არ არსებობს და ამიტომ სანქციას ვერავიზე ვერ გავცემ-მეთქი... მან აგდებულად მითხრა: მე შენი კანონი არ ვიცი, მაგ სიას უნდა დაემატოს შევარდნაძე, მგელაძე და ფოფხაძე... და გადავიდა მუქარაზე: თუ ამას დაუყოვნებლივ არ გააკეთებ, მაშინ ჩვენ გვექნება სხვანაირი საუბარიო...

„როცა თვითმფრინავის გატაცებაზე ლაპარაკობენ, მე არავითარ უხერხულობას არ განვიცდი, რადგან თვითმფრინავის გატაცებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი გამოძიებულია მაღალკვალიფიციურად". გამოძიებით ფარდა აეხადა მათ ავანტურისტულ განწყობას – სამშობლო

დაეტოვებინათ პოპულისტური გზით, რათა საზოგადოების ყურადღება მიეპყროთ. ამასთან, არაფრად ჩააგდეს 57 მგზავრის სიცოცხლე, რომლებიც თვითმფრინავში იმყოფებოდნენ და ყველაფერი ეს ხდება იმ დროს, როცა მათ თავისი ქვეყნის დატოვება, თუ ამის სურვილი ჰქონდათ, შეეძლოთ სრულიად უმტკივნეულოდ, ისე რომ, სხვისი და საკუთარი სიცოცხლისათვის საფრთხე არ შეექმნათ...

რადგან ჩემს ოპონენტებს აინტერესებთ ჩემი როლი ამ საქმეში, მათი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად აღვნიშნავ, რომ 18 მაისს საკუთარ თავზე ავიღე პასუხისმგებლობა და ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გიორგი ჭანტურია და ირაკლი წერეთელი გავათავისუფლე პატიმრობიდან, მაგრამ მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება არც ისე ადვილი საქმე იყო.

აპრილის დასაწყისში თბილისში არ ვიყავი, ამიტომ იმ პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე დეტალურად ვერაფერს გეტყვით. საავადმყოფოდან გამოვეწერე და თბილისში დავბრუნდი 8 აპრილის საღამოს. მეორე დილით კი 9 აპრილს, ეს ტრაგედია მოხდა. საქმე იმავე დღეს აღძრა გენერალურმა პროკურატურამ – საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის დავაპატიმრეთ მთავრობის სახლის წინ მოწყობილი არასანქცირებული მიტინგის ხელმძღვანელები – ზვიად გამსახურდია, გია ჭანტურია, მერაბ კოსტავა და ირაკლი წერეთელი. დავიწყეთ საქმის გამოძიება. ვსაწვლობდით როგორც საბჭოთა ჯარების, ისე მიტინგის ორგანიზატორების მიერ დაშვებულ შეცდომებს... 9 აპრილის საქმე მოსკოვისთვის რომ გადაგვეგზავნა, ეს ნიშნავდა მომხდარი დანაშაულის საქართველოსთვის დაბრალებას. ამიტომ, უზარმაზარი წინააღმდეგობის დაძლევა მოგვიხდა, რათა გამოძიების უფლება ჩვენთვის მოეცათ. დავიწყეთ, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ, როცა უკვე მივადექით ჯარის ნაწილების სამხედრო მოქმედებებს, მოსკოვმა მთლიანი საქმე მოითხოვა. სხვა გზა აღარ გვქონდა, მასალები უნდა გადაგვეგზავნა... ბოლოს, საქმე გავყავი ორად და გადავაგზავნე მხოლოდ სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე მოკვლეული მასალები... საქმის ძიება თბილისში სხვადასხვა მიზეზის გამო გაჭიანურდა. ამასობაში მოვიდა 1990 წელიც. გაიმართა არჩევნები და საქართველოს ხელისუფლების სათავეში ზვიად გამსახურდია მოვიდა. როგორ გაგვეგრძელებინა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოძიება? საქმე გარემოების შეცვლის მოტივით შევწყვიტეთ. სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიამ მოიკითხა ეს საქმე და მე ვუპასუხე, საიმედოდ მაქვს შენახული-მეთქი. მას სურდა, საქმე შეწყვეტილიყო უდანაშაულობის მოტივით.

„იმ დროისთვის რუსეთის იმპერიაში შემავალ არც ერთ რესპუბლიკაში დამნაშავეთაგან ასეთი რაოდენობის ფული და ქონება, არც ერთ ორგანოს არ ამოუღია"

ვის არ ახსოვს შამპანურის ღვინის ცარიელი ბოთლების კომბინაციებით მილიონობით მანეთის დატაცების საქმე. ეს საქმე ქალაქის პროკურატურამ გახსნა... ამ საქმის გამოძიებაში ჩაბმული იყო დედაქალაქის ყველა რაიონის პროკურატურის მუშაკი... სოფელ ნორიოში ერთ-ერთი ოჯახიდან ამოღებული იქნა დამნაშავეთა მიერ მითვისებული და გადამალული 762 ათასი მანეთი და 565 ათასი მანეთის ოქროსა და ბრილიანტის ნაკეთობანი. ეს იყო მაშინ რეკორდული თანხა... რამდენიმე ათეული კაცი იქნა ამ საქმეზე პასუხისგებაში მიცემული და დაისაჯა სასამართლოს მიერ... საქართველოში მჟაუნმჟავის გამოყენებით ხილის წვენებს ამზადებდნენ და ასეთი წვენებით პენზასა და რუსეთის სხვა ქალაქებში რამდენიმე ათეული მოქალაქე დაიღუპა. ეს საქმეც ქალაქის პროკურატურამ გახსნა და თბილისში რამდენიმე ცნობილი პიროვნება დააპატიმრა... რამდენი საქმის ჩამოთვლა შეიძლება, თუნდაც თბილისის სანეპიდსადგურის ეგრეთ წოდებული „თაგვების საქმე" და სხვა... მე ამით სრულებითაც არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ნაკლი არ გვქონდა. რა თქმა უნდა, ჩვენი საქმიანობა შორს იყო იდეალურისაგან, მაგრამ სხვა ორგანოების საქმიანობის ფონზე, საკმაოდ სოლიდურად გამოვიყურებოდით...

„საქმეზე ჩატარებული გამოძიებით, ეს ფაქტი უდავოდ დადგენილია და არც არავითარ ეჭვს არ იწვევს"

...არავითარი მასალა არ მოიპოვება და არც არავითარი სიგნალი არ შემოსულა, რომ მერაბ კოსტავას სიკვდილის მიზეზი სხვა რამ იყო, ან ვინმეს მის მკვლელობაში ამხელდეს. გამოძიებით დადგენილია, რომ ავტომანქანა „ნივა", რომელსაც თამარ ჩხეიძე მართავდა, ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითში ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მოძრაობდა გადაჭარბებული სიჩქარით. მძღოლმა გამოიჩინა უყურადღებობა, მანქანის სავალ ნაწილზე ცხოველის მოულოდნელი გამოვარდნის გამო, ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოების დაცვა, მანქანა მოცურდა, გადავიდა საპირისპირო მოძრაობის ზოლში და ნახევრად გადაბრუნდა, რის შემდეგ შემხვედრი მხრიდან მომავალ ავტომანქანას შეეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად კოსტავა ადგილზე გარდაიცვალა... თამარ ჩხეიძე პასუხისგებაში იყო მიცემული, რადგან მისი გაუფრთხილებლობის გამო მოხდა დანაშაული, როგორც ქალი, ის არ ყოფილა აყვანილი წინასწარ პატიმრობაში და საბოლოოდ, სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ შეწყდა სასამართლოს მიერ ამნისტიის გამო...

ეკა პატარაია

„ვაი თუ ვინმე მოვიდეს და“...

თოვს, ხვავრიელად თოვს. ზამთრის ძილს მიცემული სოფელი თეთრ ჭურჭში გახვეულა. მხრებდამძიმებული, ბოქლომდადებული სახლები ამაოდ მოელიან პატრონებს, „სანახშო“ ცარიელია. სოფელში დარჩენილი თითოოროლა გლეხი გახურებულ ღუმელს უზის და ფიქრობს წარსულზე, იმ წარსულზე, როდესაც თოვლის მოსვლა საყოველთაო სახალხო დღესასწაულის ტოლფასი იყო მისთვის. სოფლის ახალგაზრდები ერთად იკრიბებოდნენ და მოზამთრე ოჯახების სახლების სახურავებს ერთობლივად თოვლავდნენ. იყო ხუმრობა, ხალისი, ჟრიამული, საღამოს კი კეთილი საქმით დაღლილნი ერთ-ერთ ოჯახში შეიკრიბებოდნენ და მადლიან რაჭულ ვახშამსაც ერთობლივად შეექცეოდნენ. არც ქალაქად წამოსული რაჭველებისგან აკლდათ ყურადღება. ზაფხულში სოფელში დაბრუნებულნი საჩუქრებს და ყურადღებას სჩუქნიდნენ იქაურებს.

მართლაც, რომ

„ვაჰ, დრონი, დრონი,
ნაგემნი მტკბარად,
წარილტვნენ, გაქრნენ,
სიზმრებრივ ჩქარა“.

დღეს რაჭის სოფლებს ღრმა ძილით სძინავს, კერიის მოდარაჯე მოხუცები უძლურნი არიან გაუმკლავდნენ სახლს, ეზო-კარ-მიდამოსა და შიმშილისაგან აწკმუტუნებულ მურიას. ხანდაზმულების იმედად დარჩენილი სოფლები გმინავს, მაგრამ ხსნა არსაიდან მოსჩანს. თუ რომელიმე სოფელს გაუმართლა და სადღაც თითოოროლა ახალგაზრდა შემორჩა, სწუხან, რომ ასეთი უხვმოსავლიანობისგან მიყენებულ პრობლემებს სრულფასოვნად ვერ უმკლავდებიან.

ჩვენმა ხელისუფლებამ მთის კანონი მიიღო, თითქოსდა შვების მომცემი უნდა იყოს იგი რაჭის მაღალმთიანი დასახლებული თემისათვის, მაგრამ

ვფიქრობ, კანონი მეტ პრაქტიკულ გააზრებასა და კონკრეტიკას მოითხოვს. სოფელს კვლავ უჭირს, სოფელი კვლავ მიტოვებულია, უკანასკნელი მოჰიკანებიც რომ დიდ სოფელში წავლენ, სადარდებელი მაშინ უფრო მაშინ გამოჩნდება. ვაი, თუ მურმან ლებანიძის შიში გამართლდეს და უპატრონოდ დარჩენილ ედემს უცხო ტომი დაეპატრონოს.

საუბედუროდ, „ეს ვაი თუ“ მწარე რეალობად მეჩვენება. კანონი კანონმდებლებმა უნდა დაწერონ, მაგრამ მათი კანონპროექტის ფაბულა აუცილებლად მთის სოფლების ყოველდღიურ ყოფასა და ფაქტებზე დაყრდნობით უნდა შექმნილიყო. მეჩვენება, რომ ეს კანონი სოფლებს დაცლისგან ვერ გადაარჩენს.

საფიქრალი კვლავ ბევრი რჩება!.

★ ★ ★

რა მტკიცე და რა გამძლეა,
მუხის საძირკველი,
არავის გამოუცვლია,
არის ძველის ძველი,
ჩაწოლილა ქოხ-ბოსელი,
აღარა ჰყეფს ძაღლი,
იცრემლება უპატრონოდ
დაკეტილი სახლი.
პატრონი კი არსეინად
ქალაქის გზებს თელავს,
სოფელში თუ სახლ-კარს უჭირს,
სულაც არა ღელავს.
ვინც სოფელი მიატოვა,
ის გავს ფუტკრის ნაყარს
რა სინდისით ლოცავს ახლა
მიტოვებულ სახლ-კარს.

მასალა მოამზადა
ნინო რეხვიაშვილმა

ყურმოკრული ამბები რაჭიდან

სადღეგრძელო სამადლობლის ნაცვლად

ქართულ სუფრაზე წესია, სადღეგრძელოზე სამადლობლის მოხდა.

ბოლო სადღეგრძელო კი ყოვლადწმინდის სადღეგრძელო ითქმის. თანაც, ეს პურობის დამთავრების მიმანიშნებელიცაა.

...ცნობილ პიროვნებას წესად ჰქონდა ოჯახთან ერთად საუკეთესო ღვინით სადილობა და სტუმარი თუ მოვიდოდა, მასაც ყველაფერ საუკეთესოს მიართმევდა, გულუხვად უმასპინძლებდა.

...გვიან ღამით ახლობელი ესტუმრა, რომელიც საკუთარი მამიდის ძროხის ქურდობაში იყო შემჩნეული და ღორმუცელა ლოთიც იყო...

ივახშმეს, ითქვა რამდენიმე სადღეგრძელო, მასპინძელმა საათს შეხედა, იფიქრა, შუაღამეა, სტუმარს დაძინება უნდაო და „ყოვლადწმინდა შეგვეწიოსო“.

არადა სტუმარს კიდევ უნდა დალევა, წაირე-გვენ-წაითავხედა და თქვა:

„— ეს იმ კაცს გაუმარჯოს, მესამე ჭიქაზე ყოვლადწმინდას რო დალევსო“.

მასპინძელმა სადღეგრძელოს, სადღეგრ-ძელოთივე უპასუხა:

„— ეს იმ კაცს გაუმარჯოს, რომელიც საკუ-თარ მამიდას ძროხას მოჰპარავს, გაჰყიდის, გამოიბრუჟება, გაილეშება და არხში ჩავარდნილს იპოვიანო“.

სტუმარი სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას.

„რაჭული ლორი“ — ფელიკები, იგივე ლორის ნახევარნაკლავი „ფეშხო“, ლორისათვის შეარჩევენ ქართული ჯიშის პირუტყვს. ასუქებენ (5-6 თვეს), ძირითადად აძლევენ სიმინდს, ზოგჯერ კი მონაცვლეობით საკვებში ურევენ დაფქვილ ჭაჭას და მაჭარის ნარჩენს. საუკეთესო გემოსი ხორცი გამოდის.

„ჩიღვინაძის პური“ — საუკეთესოდ დაბრაწულ „კვრიჩხინას“ დაწითლებულ პურზე იტყვიან. სეფე ჩიღვინაძე-ხაბაზი პურს მხოლოდ შეშაზე — მაყალზე აცხობდა. ხალხში მისი გამომცხვარი პური ჩიღვინაძეების გვარით მოიხსენიება.

„ბაჯიხევის თაფლი“ — ერთ-ერთი საუკეთესოა რაჭაში. ყვავილების, ცაცხვის და სხვადასხვა მცენარეებისგან მიღებული მთის თაფლი არის საუკეთესო გემოვნებისა და სამკურნალო-პრევენციული თვისებების მქონე.



„მეტრეველის დოქი“ — 1972 წელს ქ. ვალეროსში (საფრანგეთი), მხატვარ-კერამიკოსის რევაზ მეტრეველის ქართულმა დოქმა ოქროს მედალი დაიმსახურა, აქედან მხატვართა წრეში დამკვიდრდა ეს გამოთქმა, როგორც საუკეთესოს სინონიმი, იგივეა რაც „მუხლის დოქი“, ანუ რვა – ათლიტრიანი დოქი, რომელსაც მერიქიფე დაატარებს სუფრის ირგვლივ და ავსებს ცარიელ სასმისებს, ასეთი სახელი ხალხში იმიტომ დამკვიდრდა, რომ სიმძიმის გამო თუ მუხლზე არ დაიდგა მერიქიფემ, „მუხლზე არ შემოდგა“, ისე ღვინოს ვერ ჩამოასხამს.

„მაისაშვილის პური“ — რომაელებმა ოცი საუკუნის წინათ ხაბაზს კარგი პურის ცხობისათვის თუ ძეგლი დაუდგეს, ქართველებმა გიორგი მაისაშვილი ასეთი სახელ-თიკუნით შეამკეს და მის კარგ ხაბაზობას ამ სიტყვათა თანწყობის, საზომ-მისაბაძი-ნიმუშით გამოხატავენ ხოლმე.

„მაისურაძის ლობიანი“ — „მიშკილოაინი ლობიანი“, ჩენჩოგაცლილი ლობიოს მარცვლები, რომელსაც ყველაზე გემრიელ ლობიანზე იტყვიან, ლობიოს, მხარშვის შემდეგ „გაქმუშნიან“, ე.ი. მარცვალს უხეშ ჩენჩოს აცლიან, ასეთი ლობიანის ნამდვილი ოსტატ-დიასახლისი იყო სოფ. წედისის მკვიდრი ევა კიმოთეს ასული მაისურაძე.

„მაისურაძის შაშხი“ — ზემო რაჭაში სოფელ ირში განთქმული იყო ბატის, იხვის და ქათმის ხორცის შაშხი, ამ სოფლის მკვიდრს აღათი მაისურაძეს თავისი წესი ჰქონდა, შაშხისათვის ფრინველის შერჩევის, სუქების და თვით შაშხის გამოყვანაზე, ეს დიასახლისი ფრინველს სადგომში „შეყრიდა“ (ე.ი. სუქებაზე დააყენებდა), შემოდგომით, აჭმევდა თეთრი ან წითელი სიმინდის („მოკვარულ“) კეცზე გაცხელებულ მარცვლებს. დაკლავდა იმ დროს, როდესაც „პირველი თოვლი მოვიდოდა“. დაატაბაკებდა, დაამარილებდა კეცში გაცხელებული მარილით, ორი-სამი დღე აჩერებდა ხის ჭურჭელში (ვარცლში ან გობში), შემდეგ გამოჰკიდებდა და „უბოლებდნენ“. „მას კარგი ბოლი ჰქონდაო“, ამბობდა თურმე აღათი ბებია. სოფ. ირში წესით დამარილებული და შებოლილი ლორი (ფრინველის ხორცისაგან), იწერებოდა „შაშხად“.

„გადაზელილი ყველი პიტნით“ — პიტნა კუჭ-ნაწლავის ტრაქტს არეგულირებს, ყველი?- ყველი კი ქართველთა სუფრის პოეზიაა და თუ ის რძეშია გადაზელილი, როგორც ამ კერძში, მაშინ არამცთუ ჯანმრთელი ადამიანისათვის, არამედ ინფექციურ დაავადებათა გადატანის შემდეგაც ორგანიზმის მოსაღონიერებლად (ძალ-ღონის აღსადგენად), მას ვერ შეედრება ვერც ერთი ნაწარმი. „ყველის გარეშე არ არსებობს ქართული სუფრა“.

საქართველოში მეღორეობისა და ლორის წარმოების ახალი პროექტი იწყება

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) საქართველოში მეღორეობისა და ტრადიციული შეგოლილი ლორის წარმოების მხარდასაჭერად, რაჭა-ლეჩხუმში საპილოტე პროექტს იწყებს.

პროექტი ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADA) ფინანსური მხარდაჭერით ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, ევროპის სამეზობლო პროგრამის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD) მეშვეობით ხორციელდება.

FAO-ს წარმომადგენლობა რაჭა-ლეჩხუმში საღორე მეურნეობების მოდერნიზაციისა და შებოლილი ლორის წარმოებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად საგრანტო პროგრამას აცხადებს. ფინანსური დახმარება ხელმისაწვდომია ადგილობრივი ფერმერებისთვის და მოიცავს აღნიშნულ სფეროში ჰიგიენური და სანიტარული სტანდარტების გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ გადამზადებას. პროექტი ხორციელდება ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფის მონაწილეობით, რომელშიც ჩართულნიარიანადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები და ფერმერები. ინიციატივა, რომელიც FAO-ს ანგარიშის საფუძველზე დაიგეგმა, მიზნად ისახავს რეგიონში სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების შეფასების შემდგომ, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას სოფლის განვითარების პროცესში, მათი შესაძლებლობების გაძლიერებას, რესურსების შეთავაზებისა და წახალისების სქემას, სოფლის მეურნეობის, ეკოტურიზმისა და სხვა ტიპის ადგილობრივი ბიზნესის გასაძლიერებლად.

FAO-ს პროექტების მენეჯერის ბექა ძაძამიას თქმით, აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიზნით განაცხადის შეტანა რაჭა-ლეჩხუმში დარეგისტრირებული ყველა ფერმერს და კოოპერატივს შეუძლია.

„ჩვენ მხედველობაში მივიღებთ ყველა განაცხადს; მეღორეობისა და ხორცის წარმოებაში გამოცდილების ქონა და მინიმუმ ორი ღორის ყოლა საკმარისი კრიტერიუმია მონაწილეობისთვის", - განაცხადა ძაძამიამ.

ფერმერი რაჭიდან ჯამგულ ჯუბაშვილი აცხადებს, რომ მან შეიძინა მიწა და საღორე მეურნეობის განახლების საგრანტო პროგრამაში მონაწილეობას გეგმავს, ფინანსების მოძიების შემთხვევაში კი თანამედროვე მეღორეობის ფერმას ააშენებს.

„ეს მთელს სოფელში საუკეთესო ადგილია მეღორეობის ფერმისთვის. ირგვლივ უამრავი მუხის ხეა. აქ რკო, წაბლი და გარეული ვაშლი ბლომადაა, შესაბამისად. ღორის ხორცს ეს ყოველივე უნიკალურ გემოს მატებს. ჩვენ

ფინანსური და ტექნიკური რესურსების მოძიების პროცესში ვართ", - აცხადებს ჯამბულ ჯუბაშვილი.

კიდევ ერთი ფერმერი იმავე რეგიონიდან, თამაზ ნათემაძე კი ეცდება FAO-ს გრანტის მოპოვებას, ლორის შებოლვისთვის აუცილებელი მოძველებული მოწყობილობების გასაახლებლად. თამაზ ნათემაძე ლორს საკუთარ ეზოში არსებულ ხის შენობაში 1998 წლიდან აწარმოებს. ის რესტორნებს ამარაგებს მიღებული ნაწარმით, როგორც რეგიონში, ასევე თბილისში. თუ ლორის შებოლვისთვის არსებული შენობისა და დანადგარების განახლებას და საკუთარი საწარმოს შესაბამისი დანადგარებით აღჭურვას მოახერხებს, ნათემაძე შებოლილი ლორის წარმოების გაზრდას აპირებს.

როგორც ENPARD-ში აცხადებენ, რაჭა-ლეჩხუმში ფერმერებს საღორე მეურნეობების კუთხით დიდი გამოცდილება აქვთ და მათ მიერ წარმოებული შებოლილი ლორი კარგადაა ცნობილი მთელი ქვეყნის მასშტაბით. მიუხედავად ამისა, საქონლის დაავადებების ამოხეთქვის მრავალჯერადი შემთხვევების (მაგ. აფრიკული ღორის გრიპი), მოძველებული ტექნიკისა და დრომოჭმული მიდგომების გამოყენების გამო, საქართველოში მეღორეობა დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს რაჭა-ლეჩხუმში ლორის წარმოებაზე.

ხელოვნება

საკუთარი ხელით შექმნილი სამოთხიდან ზეციურ სამოთხემდე!

რუსუდან მეტრეველი-ჭელიძე

მისაღებ ოთახში კარადის თავზე კერამიკის ნივთებს მოვკარი თვალი. ჩემი მზერა ერთ-ერთ ნივთს დიდხანს შერჩა. საოცარი გამომსახველობით შექმნილ თიხის ფიგურას მსუბუქი იუმორი, ფერთა მკვეთრი შეხამება სიცოცხლეს მატებდა და გასაოცარ კომპოზიციას ქმნიდა...

– რა სილამაზეა?– ცოტა ხმამაღლა გამომივიდა ფიქრი.

– „იების გამყიდველი ბიჭუნა" – ასე ეწოდება, ყველაზე მეტად უყვარდა ბებიას ეს ნამუშევარი. გინდა უფრო ახლოს ნახო?! – რუსუდანმა, ისე, რომ პასუხს არ დაელოდა, თიხის ფიგურა მაგიდაზე ჩამოდგა. ვიდრე ნამუშევრის დათვალიერებით ვიყავი გართული, თვითონ მეორე ოთახში გაუჩინარდა. ცოტა ხანში ძვირფასი პოლიგრაფიით ნაბეჭდი დიდი ფორმატის წიგნით, ძველი ფოტოებითა და გაყვითლებული გაზეთებით დაბრუნდა და გვერდით მომიჯდა, ნელ-ნელა ყველაფერი მაგიდაზე ჩამოალაგა, ფოტოების დასტა გაშალა, იქიდან ერთი ფოტო ამოარჩია და თხრობა დაიწყო:

რუსუდან მეტრეველი-ჭელიძე, რომლის სახელსა და გვარს დღეს მე ვატარებ,- ბებიაჩემი იყო. იგი მხატვარ კერამიკოსი გახლდათ. სამწუხაროა, რომ მისი ბევრი ნამუშევრის მხოლოდ ფოტო მასალა გვაქვს შემონახული, რადგან ნამუშევრების უმრავლესობა გაბნეულია სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში. რაც აკადემია დაამთავრა, მას მერე, სიცოცხლის ბოლომდე თავისი საქმის ერთგული დარჩა. თიხაში აცოცხლებდა ქართულ ფოლკლორს, კარგად მივიწყებულ ქართულ ორნამენტს საკუთარი უსაზღვრო ნიჭისა და ფანტაზიის წყალობით ახლებურად აფერადებდა, ახალ სიცოცხლესა და ბრწყინვალებას სძენდა. ის წლები, როდესაც იგი მოღვაწეობდა, საქართველოში კერამიკის აღორძინების წლებად არის მიჩნეული.

ალდე კაკაბაძის, რეზო მეტრეველის, რეზო იაშვილის, ჟუჟუნა ფოჩხიძის და ბევრი სხვა ხელოვანის გვერდით ბებიასაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი ხელოვნების ამ დარგის განვითარებაში. უფრო ახალგაზრდა, აკადემიის პერიოდში ფაიფურზეც მუშაობდა. ხშირად მზა, უცხო ფორმას ოქროს საღებავებით საკუთარი კომპოზიციით შექმნილ ნახატს არგებდა, შემდეგ ასეთი ნამუშევრები ჭიქურზედა მხატვრობით იმკობოდა. აკადემიის პერიოდში ფაიფურში პირველად მუშაობდნენ ისეთი გამორჩეული მხატვრები, როგორებიც იყვნენ: ეკატერინე ბაბლიძე, მიხეილ გიორგაძე, ევგენი ხაჩიძე, ივანე ბუზარიაშვილი, აბესალომ (კუკური) ბარამიძე, მერი ჯალაღანია, გივი ყანდარელი, მადლენა ბაიდაშვილი, ანა ნაჩარიანი, მედეა ჩიხლაძე, ირინე გაჩეჩილაძე, სულხან სულხანიშვილი, გულნარა გოგიჩაიშვილი, რომლებიც ისტორიაში შევიდნენ, როგორც ამ საქმის პიონერები. მათ შორის გახლდათ ბებიაჩემი – რუსუდან მეტრეველი – ჭელიძეც.

ძველი გაცრეცილი ფოტოდან იშვიათი სილამაზის ქალბატონის ღიმილი დროსა და სივრცეებს არღვევდა, ფოტოს სიძველეს ვერ გაეხუნებინა შეჩერებული წამით შემონახული მისი მშვენიერება. ფოტოზე დიდი რუსუდანი დაახლოებით ჩემს წინ მჯდომი მისი მოსახელე შვილიშვილის ასაკის უნდა ყოფილიყო, რომელთა შორის მსგავსება აშკარა იყო.

–მგავს ხომ? –გამიღიმა და თხრობა განაგრძო.

ფერწარეზე მეოცნებე გოგონას მეგობარი შეუჩნდა თურმე და აკადემიაში ფერწერის ნაცვლად, კერამიკის ფაკულტეტზე ჩააბარა. რომ არა ეს ფაქტი, არავინ იცის იქნებოდა თუ არა ორმოცდაათზე მეტი გამოფენა, მათ შორის იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში, შვეიცარიაში, კაიროში,უნგრეთში,ზაარბრიუკენში,ბულგარეთში, ნორვეგიაში, კვიპროსზე, ჩეხოსლოვაკიაში, ბელგიაში, დორტმუნდში, საბერძნეთსა და იტალიაში, სადაც მისი სახასიათო ჟანრის საოცრად პლასტიკური, საოცრად გამომსახველი ნამუშევრებით ყველა აღფრთოვანებული რჩებოდა. განსაკუთრებული ხელწერის ადამიანი იყო, რომ არა მისი მოკრძალებული ხასიათი, გაცილებით დიდ აღიარებას მიაღწევდა, მაგრამ ამბიციური არ გახლდათ, იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეეძლო. ქმნიდა იმიტომ, რომ უსაზღვრო ბედნიერებას ანიჭებდა შემოქმედებითი პროცესი. იგი ნამდვილი ხელოვანი იყო!

გამოფენებში მონაწილეობდაო, - მითხარით. ალბათ საკუთარ შთაბეჭდილებებს გიყვებოდათ. გამორჩეული ნამუშევარი თუ ჰქონდა?

ხშირად იხსენებდა და განსაკუთრებული სიხარული იპყრობდა, როდესაც საუბრობდა 1970 წელს იტალიაში, ჩატარებულ მხატვრული კერამიკის საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც მისი ნამუშევრები დიპლომებით დაჯილდოვდა. ეამაყებოდა "იების გამყიდველ ბიჭუნას" და "მრავალშვილიან დედას" ხელოვნებათმცოდნენი განსაკუთრებით რომ გამოყოფდნენ და ერთხმად აღიარებდნენ. თუმცა, თვითონ არცერთი ნამუშევრის გამორჩევა არ უყვარდა. თვლიდა, რომ ყველაფერში ერთნაირად ჰქონდა ჩაქსოვილი სითბო და სიყვარული.

– როგორი ხასიათის იყო თავად? მისი ხასიათი ნამუშევრებზე თუ აისახებოდა?

საოცარი იუმორის ადამიანი, თავადაც ბავშვივით ცელქი და მოუსვენარი ყოველდღიური პრაქტიკული ცხოვრებიდან ძალიან შორს გახლდათ. სულ სხვა ღირებულებებით ცხოვრობდა. ამიტომ დიდად არ უჯავრია, როდესაც ბინის გაქურდვისას მისი ნამუშევრები, მათ შორის მისი სადიპლომო ნამუშევარი "ყავის სერვიზი" ხელს გააყოლეს. დედა ამბობს ნივთების მონა არასდროს ყოფილაო. თავის ნამუშევრებს სიამოვნებით გააჩუქებდა და ოჯახისთვის უკეთესის გაკეთებას სულ სამომავლოდ გვპირდებოდაო. ჭიქურების ფერადოვანი ეფექტების შეხამების უზადო ნიჭი მას ყოველთვის საშუალებას აძლევდა პლასტიკისა და ფერის ენით ამეტყველებული მაღალმხატვრული კერამიკული ნაწარმოებები შეექმნა. რუსუდან მეტრეველ-ჭელიძეს ფერის შექმნის საკუთარი, პატარა საიდუმლო ჰქონდა, რომელიც მის ნამუშევრებს ინდივიდუალობას სძენდა. იუმორსაც ხშირად მიმართავდა. ათასი სხვადასხვა ხელოვანის ნამუშევრიდან შემიძლია ამოვიცნო მისი ხელწერა.

– განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა შვილიშვილებთანო. როგორი იყო თავის მოსახელე შვილიშვილთან მარტოდ დარჩენილი შემოქმედი?

რუსუდანი ერქვა, მაგრამ ყველა გულიკოს ეძახდა, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იყო, ვინც ნამდვილი სახელით მიმართავდა. ძალიან

უყვარდა სახელი რუსუდანი, როდესაც ამ სახელით მიმართავდნენ, ძალიან უხაროდა. მინდა აღვნიშნო, განსაკუთრებით უყვარდა ჩემს მეგობრებთან, საკუთარ მოწაფეებთან ნებისმიერ თემაზე საუბარი, ახალგაზრდებთან კონტაქტი – ეს მისთვის შთაგონების წყარო იყო! საშინლად არ მოსწონდა სიტყვა "ბებერი" და თუ წამომცდებოდა, მაშინვე მისწორებდა: "ბებერი" არა, "მოხუციო". თუმცა სიბერეშიც არ თვლიდა თავს მოხუცად. მართლაც, სულ ახალგაზრდასავით იყო. სიცოცხლის მოყვარულს სიკვდილზე ლაპარაკი არასდროს უყვარდა.

– დაუსრულებელი პორტრეტის შესახებ გვიამბეთ.

– დაკვირვება ადამიანებზე – ეს მისი დამახასიათებელი თვისება იყო. „ნურაფერი გეგონება, მხოლოდ მხატვრის თვალით გიყურებო!" – ხშირად მეტყოდა ხოლმე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მიზეპირებდა. როგორც გითხარით, იცოდა ხოლმე ამგვარი დაკვირება. თუმცა, ბოლო პერიოდში, როდესაც უკვე თავს სუსტად გრძნობდა, მზერა კიდევ უფრო სხვანაირი გაუხდა. უფრო ხანგრძლივი და სევდიანი. მეჩვენებოდა, რომ ჩემი ცქერის ტკბობის წუთებს იხანგრძლივებდა. სიცოცხლის ბოლო წლებში მან მიატოვა თავისი საყვარელი აკადემია, გარემო, მეგობრები, თანამშრომლები, საყვარელი ქალაქი და პაპაჩემთან ერთად კასპში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მეუღლემ საკუთარი პატარა სახელოსნო (საწარმო) მოუწყო. იქ მუშაობდა, ამიტომ ყოველდღე ვერ ვნახულობდი. ერთხელ, როდესაც მასთან ვიყავი ჩასული, ჩემი პორტრეტის ხატვა დაიწყო. აბიტურიენტი გამოცდებისთვის ვემზადებოდი, მეტად დაკავებული ვიყავი და ბებიასთან ჩასვლა დიდხანს ვერ მოვახერხე. მას ერთი თვე არ ვყავდი ნანახი, ეტყობა წინასწარ გრძნობდა რაღაცას და დაწყებული პორტრეტის დასრულებას ნატურის გარეშე შეეცადა. პატარა ფურცელზე უვარჯიშია და ჩემი თვალი გამოუყვანია. საოცარია, რომ მან ზეპირად შეძლო დაეხატა ჩემი თვალი მთელი სიზუსტით! რომლის პორტრეტზე გადატანა სამწუხაროდ, არ დასცალდა, უცნაურად მეჩვენებოდა ისიც, რომ ბოლო წლებში, რატომღაც ყოველ ხუთშაბათ დღეს მაცხოვრის ხატთან სანთელს ანთებდა და ლოცულობდა. ამას ცოტა მოგვიანებით ვუპოვე ახსნა, როდესაც იგი ამაღლების დღესასწაულზე, სწორედ ხუთშაბათ დღეს გარდაიცვალა. იმ დღეს ხატვა მიუტოვებია და სალოცავად ასულა. პაპაჩემს სახელოსნოში რომ ვერ უნახავს, შეშინებია. გვითხრა: ძებნა დავუწყე. ზემოთ რომ ავედი, მეორე სართულზე ოთახში დამხვდა, ხატთან გულმხურვალედ ლოცულობდაო. საღამოს ისევ კერამიკაზე იმუშავა. დაასრულა თავისი ჩვეული დღე და დასაძინებლად რომ ემზადებოდა. ერთი სიტყვით – „გიკვდებიო" პაპას გამოეთხოვა და გარდაიცვალა. არ უყვარდა ადამიანების შეწუხება. არ უავადმყოფია. როგორი მოკრძალებულიც იყო ცხოვრებაში, ისე მშვიდად გაიყვანა უფალმა . ერთხელ გვითხრა: მე რომ მოვკვდები, არ მინდა ბევრი ხალხი შეწუხდესო.

კეთილი, მოსიყვარულე და მოალერსე ადამიანი გახლდათ. ყოველთვის უნდოდა საუკეთესო ვყოფილიყავი, ხშირად მაძლევდა შენიშვნებს, მასწავლიდა, როგორ მოვქცეულიყავი, როგორ გამეკეთებინა თმები, როგორ ჩამეცვა, როგორ გამეცინა, როგორ მელაპარაკა, არისტოკრატი ქალი იყო, დახვეწილი მანერებითა და გემოვნებით, გაცნობისთანავე შთაბეჭდილების ქვეშ გაქცევდა, თავად ინტელიგენტი, მუდამ ამ სიტყვის მნიშვნელობას მასწავლიდა. მეუბნებოდა, მთავარია, იყო ინტელიგენტი! მისი დარიგებები ყოველთვის მისაღები იყო. არ ვიცი, დაუსრულებლად შეიძლება ბებიაზე საუბარი. მის გასვენებაში ვინ აღარ მოდიოდა მისი ნეშტისთვის ბოლოჯერ რომ მიეგო პატივი. ბევრ გაზეთშიც დაიბეჭდა მის შესახებ. წერდნენ მასზე, როგორც დიდ ხელოვანზე. მეამყება, რომ მისი სახელი დღესაც უკვდავია.

ამაღლების დღეს ამაღლდა ზეცაში. მან მის მიერ საკუთარი ხელით შექმნილი სამოთხიდან ზეციურ სამოთხეში დაიდო ბინა!

– დღეს თუ არიან ამ საქმის გამგრძელებლები? მისი შვილიშვილებიდან ვინმეს თუ გადაეცა მისი ნიჭი? თავადთუ გასწავლიდათ თავის ხელოვნებას?

ყოველთვის გვიყვებოდა საუკუნეების მანძილზე კერამიკული ხელოვნება ხალხურმა რეწვამ როგორ შემოინახა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებობდა მეთუნეობის ადგილობრივი ცენტრები, სადაც უწყვეტად მზადდებოდა საყოფაცხოვრებო და მხატვრული კერამიკის ნიმუშები. შემდეგ ქართული ხალხური როგორ შეავიწროვა დასავლეთ-ევროპული საქარხნო კერამიკულმა ნაწარმმა, რომელმაც, ქალაქების ბაზრებიდან განდევნა შინამრეწველური ქართული კერამიკა. შემდეგში როგორ დაიწყო გამოცოცხლება ხელოვნების ამ დარგმა. მახსოვს, ამ პერიოდის მნიშვნელოვან მოვლენაზე – მცხეთის კერამიკული სკოლის დაარსებაზეც გვესაუბრა. ასევე, უკვე ახლად დაარსებული სამხატვრო აკადემიას, როგორ შეემატა კერამიკული სახელოსნო; როგორ გაჩნდა კერამიკის ფაკულტეტი, რომელიც შემდეგ თავად დაამთავრა. მართლაც აღსანიშნავია, რომ აკადემიაში იყო დრო, არსებობდა ვრცელი ქიმიური ლაბორატორია, სადაც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თიხის ნედლეულის შესწავლა ხდებოდა. იყო კერამიკული ქარხნები, ეს

ხელოვნება შემდეგ კიდევ უფრო მეტად განვითარდა და სახელმწიფოს კარგ მოგებასაც აძლევდა.

დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე წარმოება ახლა დიდი ფუფუნება გახლავთ. ეს დარგი თეორიულად შეიძლება მაღალ დონეზეც ისწავლება, თუმცა პრაქტიკა გადამწყვეტია! შესაბამისად, დასანანია, ეს ყველაფერი დავიწყებას მიეცეს. სწავლას რაც შეეხება, ბევრი საიდუმლო რეცეპტი დაგვიტოვა. როგორ აზავებდა ფერებს. რა ტექნოლოგიას იყენებდა ამა თუ იმ ფერის, ასევე „დაჟანგული“ ეფექტის მისაღებად. ჩემი დიდი სურვილია, მის მიერ თიხაში დატოვებულ ნაკვალევს გავყვე, მის საქმეს სული შთავბერო. ვიცი, ეს ადვილი არ იქნება. იმედს ვიტოვებ, გამოჩნდება ვინმე, ვინც ამ დიდი საქმის აღორძინებაში დამეხმარება. ყველაფერთან ერთად საგულისხმოა, რომ კერამიკული მხატვრობა, კერმიკული წარმოების აღდგენა ქვეყნისთვისაც მომგებიანი იქნება.

– როგორც ვიცი, ბებიის ნიჭი ორივე და-ძმას გამოგყვათ.

იმის დაჩემება, თითქოს მე მასავით შემიძლია თიხისთან მეგობრობა ძალიან ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ მქონდა რამდენიმე მცდელობა და როგორც მეუბნებიან ამას კარგი შედეგი მოყვა. პოლონეთში ყოფნის დროს, სადაც ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში ვიმყოფებოდი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციაში მომიწია მუშაობა. იქ ერთი-ერთი თერაპიული კურსი, რომელიც ამ ადამიანებს უტარდებოდათ, სწორედ კერამიკა გახლდათ. იქ ბევრი რამ გამოვძერწე. ერთი ნამუშევარი, რომელიც განსაკუთრებულად მომეწონა, სამახსოვროდ წამოვიღე საქართველოში. ამბობენ, რომ ჩემი ეს ნამუშევარი ვიზუალურად ძალიან გავს ბებიაჩემს, თუმცა მასზე მუშაობისას ამაზე არ მიფიქრია. ჩემი მხატვრული ნიჭიც იქ აღმოვაჩინე, მხატვრების ჯგუფში მუშაობისას. გარემო, რომელიც იქ დამხვდა, ჩემთვის ძლიერი ინსპირაციის წყარო აღმოჩნდა. მოკლედ, უცხო მიწაზე, პოლონეთში გამოვამჟღავნე ჩემი ეს გენეტიკური ნიჭი. ჩემი ძმა კარგად ხატავს. პროფესიით მხატვარ-არქიტექტორია. მგონია, ბებია რომ არა, თიხა ასე არ შემიყვარდებოდა. თიხა, კერამიკა, ჩემთვის ბებიაჩემთან ასოცირდება. მასთან შეხებისას ბებიასეულ სითბოს ვგრძნობ, ასე ახლობელს და მშობლიურს. ამ შეგრძნების სიტყვებით გადმოცემა რთულია. ეს უნდა განიცადო.

რუსუდან მეტრეველი–ჭელიძე 2001 წლის 24 მაისს, 75 წლის ასაკში გარდაიცვალა. ასე „თიხასთან თამაშში“ გავიდა მისი ცხოვრება, თუმცა შვილიშვილის დაუმთავრებელ პორტრეტთან ერთად განუხორციელებელი დარჩაუამრავი გეგმა , თან წაიღო იმედი, რომ მისი მოწაფეებიდან ვინმე შეძლებდა მისი საქმის ღირსეულადგაგრძელებას.

როგორც ამბობენ, კერამიკა გამოყენებითი ხელოვნების ერთ–ერთი იმ დარგთაგანია, რომელიც ყველაზე ახლოსაახალხის ცხოვრებასთან, მის ყოფასა და საქმიანობასთან. ამასთან, იგი ყველაზე წმინდად ინახავს უძველესშესანიშნავ ტრადიციებს. მცირე ზომის კერამიკული ფიგურები „აკვანთან“, „ტყუპები“, „დედა ენა“, „ლუარსაბი და დარეჯანი“, „მიტუა” და ბევრი სხვა, ხელოვანი ქალბატონის მხოლოდ მისეული ხელწერით არის შექმნილი.

–მიდიან ადამიანები და მათ ნაკვალევს ვერაფერი შლის. ასე შემოინახა რუსუდან მეტრეველი–ჭელიძის გაუხუნარი ხსოვნა ქართულმა კერამიკულმა ხელოვნებამ. შემოქმედის მიერ საკუთარი ნამუშევრების მსგავსად გამოძერწილი ცხოვრება, თიხაში ამღერებული პოეზია, რომელმაც მისი გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო მეტი შინაარსი შეიძინა. ცხოვრება, რომელიც სიცოცხლეში და სიკვდილის მერეც მაშინდელი უბადლო ოსტატების – ალდე კაკაბაძის, რეზო მეტრეველის, ეკატერინე ბაბილაძის, ნანა ბოტკოველის, ოთარვეფხვაძის, ირინა გაჩეჩილაძის, რაისა ეკალაძის, შოთა ციციშვილის, თენგიზ გიგაურის, ქეთევან კარგარეთელის, ნანა კიკნაძის, შოთა ნარიმანიშვილის და სხვათა მიერ თიხაში დატოვებულ ნაკვალევს აერთიანებს.

ბახტრიონის ჭუჩიდან კუტუზოვზე შევუხვიეთ, ცოტა გავიარეთ და საირმის აღმართსაც ფეხით ავუყევით. მერე იყო ლიფტამდე მოკლე კიბე. გზადაგზა ბევრს მესაუბრებოდა რუსუდანი და ბებიის სახლისკენ მიმიძღვოდა, მეოთხე სართულზე ლიფტიდან როგორც კი გამოვედით ხელში მომარჯვებული გასაღები რკინის კარსმოხერხებულად მოარგო, გადაატრიალა და კარში შემიძღვა.

სწორედ ამის მერე დავეხმარე ყოველივე ზემოთ თქმული თქვენამდე მომეტანა ძვირფასო მკითხველო. ბევრისთვის კიდევ ერთხელ გაგვეხსენებინა, ზოგისთვის გაგვეცნო ადამიანი, რომელიც საკუთარი შემოქმედებით ქართული კულტურის ღირსება გახლავთ.

ირმა მირზაშვილი

როგორ ასახავს გორის სამუზეუმო კომპლექსი სტალინის პიროვნებას

ნაწილი I

იოსებ სტალინის პირადი ნივთებისა და საჩუქრების დიდი ნაწილი რუსეთში, მოსკოვის კრემლის სტალინის პირად კაბინეტში ინახება. აგრეთვე მის აგარაკზე, მოსკოვის მახლობლად - კუნცევოში და რამდენიმე მუზეუმში.

ბუნებრივია, რომ საქართველოშიც დაარსდა „დიდი ბელადის" მუზეუმი. იგი გორში, სტალინის მშობლიურ ქალაქში 76 წელია არსებობს.

სტალინის გორის სახელმწიფო მუზეუმი კომპლექსია, რომელშიც შედის: სახლი, სადაც იოსებ ჯუღაშვილი დაიბადა; სტალინის პირადი ვაგონი და საექსპოზიციო შენობა. მუზეუმის სტაციონარულ ექსპოზიციაზე ყოველთვის იყო გამოფენილი როგორც სტალინის პირადი ნივთები, ასევე საჩუქრებიც. სულ მუზეუმში დაცულია 1700-ზე მეტი ექსპონატი. მუზეუმის სივრცე ამ ნივთების მესამედის გამოფენის საშუალებასაც არ იძლევა, ამიტომ ექსპონატები პერიოდულად იცვლება. ბოლო წლებში მუზეუმის დირექტორ ლიანა ოქროპირიძისა და ფონდების თანამშრომლების ძალისხმევით მოეწყო ნაქარგებისა და ხეზე კვეთილობის ნიმუშების დროებითი გამოფენები. შარშანდელი წლის ბოლოს, პირველად მუზეუმის ისტორიაში, მომზადდა და გამოიფინა გრაფიკული ნამუშევრები.

რამდენად ფასეულია სტალინთან დაკავშირებული ნივთები, ამას ადასტურებს მსოფლიოს პრესტიჟულ აუქციონებზე გამოტანილი სტალინის სიკვდილის შემდგომი ნიღაბი, სტალინის წერილები, ასევე 2010 წელს მისი პირადი ნივთებისა და საჩუქრების (150 ნივთი) ერთ-ერთი გამოფენის (ქ. ულიანოვსკში) სადაზღვევო თანხა - 6 მილიონი ევრო.

რა თქმა უნდა, მნახველებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა სტალინის პირადი ნივთები. გარდა სტალინის პირადი ვაგონისა და იმ ორიგინალური ნივთებისა, რომლებიც მემორიალურ სახლშია გამოფენილი, მუზეუმში დაცულია: სტალინის პირადი კაბინეტი, რომლითაც იგი 1918-1922 წლებში სარგებლობდა, მარშლის შინელი, საპარადო ქუდი, მისი ორი ჩიბუხი, საწერკალამი, ორი საფერფლე, პირის საპარსი მოწყობილობა, ორი ტელეფონი, ჩემოდანი, კუბური სიგარები, პაპიროს „ჰერცოგოვინა ფლორის" კოლოფი, ლოგარითმული სახაზავი. გარდა ამისა, მუზეუმში ინახება სტალინის ხელით დაწერილი პირადი წერილები, რომლებსაც გორელ მეგობრებს წერდა და დედამისის, ეკატერინე ჯუღაშვილისა და ოჯახის სხვა წევრების ნივთები.

მუზეუმის დამთვალიერებელს საშუალება აქვს, იხილოს საჩუქრებიც. ნივთებს, რომელთაც იოსებ სტალინს უძღვნიდნენ, საკუთარი ისტორიები აქვთ. თითოეულ მათგანს განსაზღვრული მიზნით ქმნიდნენ: ერთნი დიდი სიყვარულით და თაყვანისცემით, სხვები იძულებული იყვნენ, ზოგიერთები კი თვალთმაქცობდნენ, რათა დიდი ბელადის ყურადღება მიეპყროთ. საჩუქრებს სტალინს უგზავნიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ზოგჯერ მიყრუებული სოფლებიდან. უგზავნიდნენ როგორც ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ასევე ბავშვებიც. საჩუქრების უმრავლესობა უნიკალური ნივთებია, რადგან ბევრ მათგანს ერთ ეგზემპლარად ქმნიდნენ. ზოგიერთი



მეცნიერის აზრით, პოლიტიკური მოღვაწეობის 30 წლის განმავლობაში სტალინმა მილიონზე მეტი საჩუქარი მიიღო. ვფიქრობთ, ეს რიცხვი გაზვიადებულია, თუმცა მან ნამდვილად მიიღო მილიონზე მეტი მილოცვა 1949 წელს 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით. მაშინ მიღებული საჩუქრების სიმრავლის გამო, მათი გამოფენისას მოსკოვის მუზეუმებს დიდი პრობლემები შეექმნათ. სტალინი პირადი შეხვედრებისას მიღებული საჩუქრებით იშვიათად სარგებლობდა, ხოლო 1949 წლის 21 დეკემბერს მისთვის მიძღვნილი საჩუქრები, როგორც ხელოვნების ნიმუშები, მან სახელმწიფოს კუთვნილებად გამოაცხადა. ნივთები გამოფინეს, ძირითადად, მოსკოვის პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში, ასევე რევოლუციისა და პოლიტექნიკურ მუზეუმებში.

გორის სტალინის მემორიალურ მუზეუმს

საჩუქრების მხოლოდ მცირე ნაწილი გადაეცა, მაგრამ ესეც შთამბეჭდავი კოლექციაა. მუზეუმში ინახება ფერწერული ტილოების, ხალიჩების, ნაქარგების, ხის ნაკეთობების, ჭურჭლის, ბიუსტების, მოზაიკისა და ჭედურობის შესანიშნავი ნიმუშები.

ფერწერული ტილოები

მუზეუმში დაცული მხატვრული ტილოების მხოლოდ ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს სტალინის საჩუქრად. მათი უმრავლესობა მუზეუმს უსასყიდლოდ გადმოეცა სხვადასხვა ორგანიზაციიდან, ხოლო ზოგიერთი ნამუშევარი 90-იან წლებშია შეძენილი. რა თქმა უნდა, ყველა მათგანს არ აქვს მაღალი მხატვრული ღირებულება, მაგრამ საბჭოთა ეპოქისა და სოციალისტური ხელოვნების მკვლევართათვის საინტერესო მასალას წარმოადგენს. ვინაიდან შეუძლებელია მათი ერთდროულად გამოფენა ზომებისა და რაოდენობის გამო, სტაციონარულ გამოფენაზე მხატვრული ტილოები პერიოდულად იცვლება. მაგრამ ერთ-ერთი ნამუშევარი, უჩა ჯაფარიძის ნახატი „იოსებ ჯუღაშვილი ილია ჭავჭავაძესთან „ივერიის"

უჩა ჯაფარიძის ტილო - ი.ბ. სტალინი (ჯუღაშვილი) გაზეთ "ივერიას" რედაქციაში ილია ჭავჭავაძესთან

რედაქციაში" ყოველთვის ამშვენებდა ექსპოზიციას. ამ ტილოს შავ-თეთრი ფოტორეპროდუქციები ხშირად იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ ორიგინალი სტალინის მუზეუმშია გამოფენილი. ფერწერული ტილოებიდან მაღალმხატვრულ ნიმუშებად მიიჩნევენ დიმიტრი ნალბანდიანის ნამუშევარს „გორელი ბიჭი", ხოლო დამთვალიერებლებს განსაკუთრებით მოსწონთ უცნობი ქართველი მხატვრის ნახატი „სტალინი დედასთან" და დ. მაისაშვილის - „ახალგაზრდა სტალინი".

ხალიჩები

მუზეუმში სხვადასხვა ზომის მრავალი ხალიჩა ინახება. ისინი სტალინს საჩუქრად გამოუგზავნეს უმთავრესად იმ ქვეყნებიდან, სადაც ხალიჩების ქსოვის კულტურა ხელოვნებამდეა აყვანილი. მუზეუმში ამჟამად გამოფენილია ირანში, აზერბაიჯანში, შუა აზიის რესპუბლიკებსა და სომხეთში მოქსოვილი ხალიჩები, რომლებიც სტალინის პორტრეტების მიხედვითაა შექმნილი. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მათ შორის გამორჩეულია 1-ელ დარბაზში გამოფენილი ირანული ხალიჩა.

ნაქარგები

სტალინის მუზეუმის დამთვალიერებელთა ყურადღებას ყოველთვის იპყრობდა ორი ჩინური ნაქარგი. სწორედ ეს ნამუშევრები მიიჩნევა საუკეთესოდ მუზეუმში არსებული სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით შესრულებულ ნაქარგებს

შორის. საინტერესო ნიმუშებია გამოგზავნილი ბელორუსიიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან. 2012 წლის ბოლოს მუზეუმში მოეწყო ნაქარგების ორთვიანი გამოფენა. ისევე როგორც ხალიჩები, ნაქარგებიც ძირითადად მხატვრული ტილოების მიხედვითაა შექმნილი. მათ შორის გან-საკუთრებით საინტერესოა ირაკლი თოიძის ნახატის „სტალინი კითხულობს ვეფხისტყაოსანს" მიხედვით შექმნილი უკრაინული ნაქარგი.

ავტორი: ლარისა გაზაშვილი

ჟურნალი „ისტორიანი", 2014 წლის იანვარი, 1/37

მამა გაბრიელის გამონათქვამები

- გული ვისგანაც მოგეცა, იმასვე ეკუთვნის.
- ადამიანი დაუღალავად უნდა მიისწრაფვოდეს ღმრთისკენ. უფალი ამას რომ ხედავს, აძლევს ყველაფერს, რაც საჭიროა.
- უფალი არ ტოვებს ადამიანს, ადამიანი ტოვებს უფალს. ჯოჯოხეთი უფლისგან განშორებაა.
- ღირსი იოანეს სიტყვებია სახელმძღვანელოდან „კლემაქსი": - "არა ვიმარხვე, არცა დავსწევ ქვეყანასა ზედა, არცა ვიღვიძე, არამედ დავმდაბლდი და მაცხოვნა მე უფალმან". მდაბალს ყოველგვარი განსაცდელი ჩაუვლის და არ შეეხება. სასუფეველში სიმდაბლის გარეშე ვერავინ შევა.
- მარხვა ცოდვების სინანულია, როცა საჭმელი არ გახსოვს.
- ზოგი იტყვის - არ მაქვს ქალებზე ბრძოლებიო. რა სისულელეა. სანამ არის სქესით გარჩევა, ბრძოლებიც იქნება. მთავარია, ვისაც უნდა და არ მიდის ქალთან, ითმენს ქრისტეს სიყვარულსთვის. აი ეს არის ღვაწლი.
- ვაი, იმ ბერსა და მონოზონს, ვისაც თავისი ერის სატკივარი არ სტკივა.
- როგორ შეიძლება გარეთ ვინმე გელოდებოდეს და შენ მშვიდად იყო. კარგ ბერს ქალის გული უნდა ჰქონდეს.
- ნუ ზრუნავთ ხორცისთვის, იზრუნეთ სულისთვის, სული გადაირჩინეთ. ვინც ენასა და მუცელს სძლია, ის უკვე სწორ გზაზე დგას.
- როდესაც საჭმელს სჭამ, უნდა გახსოვდეს მშიერი, მწყურვალი, გაჭირვებული, ამაშია სასუფევლის პოვნა.
- უფალი სხვის უბედურებას იმიტომ გვიჩვენებს, რათა ილოცოთ მისთვის, დაეხმაროთ მას. ამით სიყვარულს გვასწავლის.

აჩრდილების გამოხმობა



ნურას უკაცრავად, კია წოდებული პოეტების ქვეყნად ჩვენი ლამაზი სამშობლო, მაგრამ, უამრავ პოეტთაგან ზოგიერთს თუ შეუძლია გაიმეოროს გალაკტიონის სიტყვები — „ოქროსა ვჭრი, როგორც ვჭრიდი, საკუთარი შტამპით“.

იმ ზოგ-ზოგებშია ოთარ ჭელიძეც, ქართული ეპიკური პოეზიის ბრწყინვალე ოსტატი, რომლის მთელ შემოქმედებაში განფენილია საკუთარი ხმა, აღბეჭდილია „საკუთარი შტამპი“, ნოვატორული აღმოჩენები... ქართული კლასიკური ლექსისადმი ერთგულება იგრძნობა ოთარ ჭელიძის ლექსებში, პოემებში, ბალადებში... იგი ხომ ბალადის ჟანრის ერთ-ერთი დამამკვიდრებელია მეოცე საუკუნის პოეზიაში. მკითხველი მოხიბლული იყო მისი „ორი მარაბდელით“, „თამარ მეფის საფლავით“, პოემით — „ჩემი მაგნიტური არე“, უამრავი ლირიკული ლექსით...

მე პირადად ყმაწვილობიდანვე მომყვება მისი:

,,ჯაჭვის ხიდი, ჩვენი ხიდი,
ჯაჭვის რაჭა-იმერეთის,
ზედ სიცოცხლე ლხენით მიდის
ბალღობიდან სიბერემდის!.

ანდა „მერემის“ — ძველ საქართველოში ცხენთა რემების მწყემსის — მოძახილი:

,,მერმედ ვიქცევი სიბერისას
და ტრიალ ტრამალზე გავიჭრები,
რომ ისევ ვუმრავლო იბერიას
შავრები, რაშები, ტაიჭები.
მაშტაკა, ჯიმბირი, ჯაფიერი,
გულორღო, არაბა-შავწინწკლება,
იოლა, ჩალია _ ჩალისფერი...
არცერთი არ მივცე დავიწყებას.
...არაფერს მოვითხოვ გასამრჯელოდ,
ფუჭ სახელ-დიდებას ვერიდები.
ჭიხვინა კვიცებით ავაჭრელოთ
სამშობლოს ქედები, ველ-მინდვრები‘‘.

და ასე... რამდენი ნაღდი პოეტური სტრიქონი შემორჩა მეხსიერებას „საკუთარი მომენტის მჭრელი“ პოეტისა, რომელიც ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს, სამშობლოს ბედუკუღმართი დანაღვლიანებული, არც ისე ხნიერი წავიდა ამ ქვეყნიდან და თავის სათაყვანო უფროს მეგობრებს ვალმოხდილი მიეახლა...

...

1985 წელს მთელ საქართველოში აღინიშნა ოთარ ჭელიძის დაბადების 60 წლისთავი და ეს, რა თქმა უნდა, უპირველესად გაზეთმა „კომუნისტმა“ ამცნო ქვეყანას.

— ვის ისურებთ მომლოცველად? — შევეხმიანეთ რედაქციიდან.

— რა ვიცი, კაცო... თქვენ, ვინც გნებავთ — მოგვიჭრა მოკლედ და მერე, მართლაც, ჩვენ თვითონ შევაწუხეთ რამდენიმე მისი მეგობარი-თანამოკალმე: „ცოტაა პოეტი, რომელიც ისეთივე ეპიკოსია, როგორი ლირიკოსიც. ამ ცოტაშია ოთარ ჭელიძე (მუხრან მაჭავარიანი)... *„ოთარ ჭელიძეს დიდოსტატურად აქვს ამეტყველებული ქართულ ენაზე გენიალური პუშკინისა და დიდი რუსი პოეტის — ალექსანდრე ტვარდოვსკის უკვდავი ქმნილებანი. სხვათა შორის, ალექსანდრე ტვარდოვსკი ეს ტიტანი რუსული პოეზიისა — იოლად არავის დაიახლოვებდა ხოლმე, ოთარ ჭელიძეს კი დიდად აფასებდა და გულში იკრავდა, როგორც ღირსეულ კოლეგასა და გულითად მეგობარს“* (**ხუტა ბერულავა**).

„მინდა ხაზგასმით აღვნიშნო მისი წარმატებები ვერსიფიკაციის სფეროში. ახლა, როცა მეცნიერულად ანატომიური სიზუზტით არის დამუშავებული ქართული ლექსთწყობის საკითხები, თითქოს შეუძლებელიც კი იყო პრაქტიკულად რაიმე ახლის მოძიება, მაგრამ ოთარ ჭელიძის შინაგანმა ალღომ, მახვილმა სმენამ მიაგნო სრულიად ახალ, მანამადე უცნობ მეტრულ სქემებს და ამით კიდევ უფრო გამოკვეთილი, კიდევ უფრო ინდივიდუალური გახადა თავისი მხატვრული ხელწერა“ (**შოთა ნიშნიანიძე**).

რამდენიმე დღის წინათ, ძველი გაზეთების თვალიერებისას, 1996 წელს გამომავალ „სალიტერატურო გაზეთს“ გადავაწყდი, მთავარი რედაქტორი — ოთარ ჭელიძე — ვკითხულობ ბოლო გვერდზე. ნაირფერი მასალებითაა სავსე გაზეთი. კეთილ ღიმილს იწვევს ამა თუ იმ მწერლისადმი მიძღვნილი ფუნაფორია, რომლებიც თვითონ ბატონ ოთარს შეუკრებია სხვადასხვა დროს. ის კი არა, ერთ-ერთის ავტორი თვითონაა, რომელიც,

მე პირადად, რატომღაც სულ არ მეგონა მისი. ეს ძალიან ცნობილი ფუნაგორია, ალბათ თქვენც მოგისმენთ, ანდა წაგიკითხავთ:

აგიაშვილსა ნიკასო
არ ნაუვარება ჰიკასო,
გადარეულა ჰიკასო:
რა დავუშავე ნიკასო.

ბატონი ოთარი იქვე თავმდაბლად წერს, ეს ფუნაგორია ვერ დაიბადებოდა, რომ არა ჩვენი უსაყვარლესი ლადო ასათაინის რუსულ-ქართული ფუნაგორიაო:

აგიაშვილი ნიკაო
ნე ჰრიზნაიოტ ნეკავო.

ჰოდა, სწორედ მაშინ ვიფიქრე, არ იქნება ცუდი თუ კი ჩვენს მკითხველს, მეტადრე, ჩვენს ახალგაზრდობას, გავახსენებდით გამორჩეულ პოეტსა და მამულიშვილს ოთარ ჭელიძეს. გავიკითხ-გამოვიკითხე ოჯახის მისამართი ბატონი ოთარისა, ავედი „იყალთოს გორაზე“ და მივადექი ქალბატონ დალი მუმალაძეს— ოთარ ჭელიძის ქვრივს, რომელიც იმ სიმაღლეზე ცხოვრობს შვილებითა და შვილიშვილებით. ქალბატონ დალი მუმლაძეს კარგად იცნობს შემოქმედებითი ინტელიგენცია, მეტადრე — თეატრალური... იგი ძალზე ავტორიტეტული თეატრმცოდნეა, დამთავრებული აქვს ჩვენი თეატრალური ინსტიტუტი, მოსკოვში კი — ასპირანტურა, იქვე კითხულობდა ლექციებს თეატრისა და კინოს ისტორიის სამეცნიერო ცენტრში, ამჟამად, სხვებთან ერთად მუშაობს „ქართული თეატრის ენციკლოპედიაზე“, წერს ქართული დრამატურგიის ისტორიას, ჩვენს თეატრალურ უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს პოსტმოდერნისტული თეატრის ისტორიაზე, მან, ერთ-ერთმა პირველმა, დაიწყო რობერტ სტურუას თეატრის ფორმისა და შინაარსის კვლევა...

— ახლა ფეხი ისე მაწუხებს, ჩემო კარგო, რომ გადაადგილება მიჭირს და ზემოდან დავცქერი თბილისს... ნახეთ, რა ხედია, — ნაღვლიანად იღიმება იგი — შავგრემანი, სიმპათიური ქალბატონი და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებს მაწვდის, რომლებშიც ოთარ ჭელიძეზეა საუბარი.

— ბინა იმდენჯერ გამოვიცვალეთ, რომ ზოგი მასალა გაიბნა, დაიკარგა... ვართ ახლა აქ ორი ვაჟიშვილით, რძლითა და შვილიშვილებით...

— როგორ გაიცანით ოთარი?

— გამომცემლობა „მერანში“ ვიყავი, იქ დავუნახივარ.. მოგვიანებით შალვა დემეტრაძისა და მურმან ქოიავას დახმარებით გამიცნო... რამდენიმე ლექსიც კი აქვს მოძღვნილი...

„და მეც უკვდავმეოფად ვესიზმრები
ჩემსავ აცხადებულ ნაოცნებარს,
დალის გაღმერთებით ვეღირსები
დღემდე შეუცნობელ საოცრებას“.

— ერთი შეხედვით გოროზი კაცი სჩანდა...

— კი, ცოტა „მძიმე“, თანაც ეჭვიანი იყო, თუმცა — მიამიტი... იუმორიც არ აკლდა... მთელი დღე თავაუღებლად შეეძლო ემუშავა... რუსული იცოდა ბრწყინვალედ, ევტუშენკო და ახმადულინა მან ჩამოიყვანა პირველად მოსკოვიდან...

— რაჭველი მამამკაცები ოჯახის ხალხია...

— გადაგებული იყო ოჯახს... როგორც წესი—მე ბაზარში არ დავდიოდი...

— რაჭაში ჰყავდა ვინმე?

— რაჭაში, სოფელ ბაჯში მამისეული სახლი ჰქონდა, თუ გახსოვთ მისი შესანიშნავი საბავშვო პოემა „ალხანა და ჩალხანა“, „ჩალხანას“ თავის ბიძაშვილ ნოდარ ჭელიძეს ჩააბარა იქაურობა... ახლა ვეღარ ვუვლით...

— დაუბეჭდავი თუ დარჩა რამე?

— თითქმის არაფერი... ბოლოს რომანს ბეჭდავდა „ცისკარში“... დაუმთავრებელი დარჩა... ძალიან მინდა, რომ ცალკე წიგნად გამოვაქვეყნო... ასეა.. ახლა 91 წლისა იქნებოდა... მიირთვით, თუ შეიძლება...

ქალბატონი დალი კონიაკს მისხამს... ვდგები, ვლოცავ ოჯახს, ოთარ ჭელიძის სახელის არმოშლას ამ ოჯახში (ამის გარანტი პატარა ოთოა, რომელიც შესანიშნავად ხატავსო, ამბობს მასპინძელი) და „იყალთოს გორიდან“ გამსახურდიას გამზირზე ვეშვები.

ავტობუსში კი ისევ ოთარ ჭელიძეზე ვფიქრობ: აი, მოდის სამი ხანშიშესული მამაკაცი რუსთაველზე, გამომცემლობა „მერანიდან“ გამომცემლობა „სამშობლოსკენ“, ოთარ ჭელიძესა და კრიტიკოს ვლადიმერ ჯიბუტს შუაში ჩაუყენებიათ საყვარელი პოეტი და რაინდი კაცი კოლაუ ნადირაძე... მოდიან მუსაიფით... ზუსტად ვიცი: გამომცემლობა „სამშობლოს“ სალაროში ამ სამიდან, რომელიმეს ჰონორარი აქვს ასაღები დეიდა ჟენიასთან (აცხონოს ღმერთმა)... აიღებენ ჰონორარს და ან „სამაიაში“, ან კაფე „მეტროში“ (რამდენჯერ მომიკრავს თვალი) ჩამოსხდებიან ძველი მეგობრები... იქნებ შალვა დემეტრაძეც, ოთარ მამფორიაც იყოს მათთან... ბედნიერება მქონდა, რამდენჯერმე, მეც ამეწია ჭიქა ამ ძვირფას ადამიანებთან...

იმ დღეებს რა წაშლის!

ვილენ მარდალეიშვილი

ქართული ფოლკლორის მოამაგე

ევსევი (კუკური) ჭოხონელიძე

ევსევი (კუკური) დავითის ძე ჭოხონელიძე დაიბადა 1940 წლის 13 ივლისს ქ. თბილისში. 1967 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკათმცოდნეობის ფაკულტეტი ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების სპეციალობით; 1970 წელს - კონსერვატორიის ასპირანტურა პროფ. გრიგოლ ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით. 1964 წლიდან მუშაობდა ლაბორანტად, 1970 წლიდან - პედაგოგად, ხოლო 1977 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ფოლკლორის კათედრის გამგედ. 1974 წლიდან იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ფოლკლორული კომისიის თავმჯდომარე, 1979 წლიდან კი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი. იგი გახლდათ ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი; ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე; ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი და პროფესორი; ამავე უნივერსიტეტის ფოლკლორის კომპლექსური კვლევის ლაბორატორიის მუსიკის სექტორის ხელმძღვანელი; ფოლკლორული ფესტივალების საერთაშორისო ორგანიზაციის (CIOF) საქართველოს ფილიალის ვიცე-პრეზიდენტი. 60-იან წლებში ანსამბლ „გორდელას" ერთ-ერთი დამაარსებელი და წევრი; 80-იან წლებში ახალი მიმართულების ფოლკლორული ანსამბლების („მთიები", „მზეთამზე", „ანჩისხატი") კონსულტანტი; ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების ქართული ფოლკლორის თეატრის დამაარსებელი (1994 წ.).

ე. ჭოხონელიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ხალხური სასიმღერო ნიმუშების ფიქსირების, შესრულების, კვლევის, გამოცემისა და პროპაგანდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ფოლკლორული ექსპედიციები რაჭაში, გურიაში, აჭარაში, იმერეთში, კახეთში... განსაკურებულია მისი დამსახურება ქართული საეკლესიო გალობის აღდგენა-დამკვიდრების საქმეში. კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის წლებში კახი როსებაშვილთან და ანზორ ერქომაიშვილთან ერთად მან მოახერხა გურული სამგალობლო სკოლის უკანასკნელი წამომადგენლისაგან — არტემ ერქომაიშვილის საგალობლების ჩაწერა და უძველესი ქართული პროფესიული მუსიკის სცენაზე აჟღერება. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სასულიერო მუსიკის კვლევის დაწყებაშიც.

ბატონი კუკური იყო ახალი ქართული ეთნომუსიკოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ახალი თაობის მრავალი მეცნიერის გზის გამკვალავი. მისი ხელმძღვანელობით ფოლკლორის კათედრაზე არაერთი სადიპლომო და სადისერტაციო ნაშრომი მომზადდა. ე. ჭოხონელიძე იყო ფართო ინტერესების, პრინციპული და ნოვატორული იდეების დამფასებელი მკვლევარი. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა მოიცავს ქართული ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის თითქმის ყველა ძირითად სფეროს. იგი იყო მრავალი სამეცნიერო ფორუმის მონაწილე და

კუკური ჭოხონელიძე შვილიშვილებთან ერთად

ორმოცამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მას ეკუთვნის ქართული მუსიკის სახელმძღვანელო ზოგადსაგანმანათლებო სკოლებისათვის, წარმართავდა აგრეთვე ეთნომუსიკოლოგიურ საქმიანობას გამომცემლობა „ქართულ ენციკლოპედიაშიც".

ე. ჭოხონელიძე იყო ქართული ხალხური სიმღერების სანოტო კრებულების შემდგენელი, ქართული და აფხაზური ხალხური სიმღერების სანოტო კრებულების რედაქტორი, ქართული ხალხური სიმღერის ფონო-ანთოლოგიის შემდგენელი, პრესაში მრავალი სტატიის, რეცენზიისა და ტელე-რადიო გადაცემების ავტორი.

ბოლო პერიოდში მისი ავტორობითა და ხელმძღვანელობით დაიწყო პროექტი "ქართული სამუსიკო ფოლკლორის ნიმუშთა სისტემატიზაცია, კატალოგიზაცია და ჟანრული კლასიფიკაცია", გამოიცა „ქართული სამუსიკო დიალექტოლოგია", მრავალტომეული ანთოლოგიის პირველი ნაწილი - „სამეგრელო", „მზევ, შინ შემოდიო!" - ქართული ხალხური მუსიკა ბავშვებს.

„საქართველო – მსოფლიო ფოლკლორის სატანტო ქვეყანა"

დღევანდელი ქართველი ახალგაზრდობა ნებისმიერი გზით ცდილობს, ნაბიჯი აუწყოს საზღვარგარეთულ კულტურას. ისინი უსმენენ და მღერიან რეპს, სოულს, როკს; მათი ყურადღების ღირსი იშვიათად ხდება ქართული ფოლკლორი. რა კეთდება ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციისა და მისით ახალგაზრდა თაობის დაინტერესების მიზნით? არის თუ არა დაინტერესებული ჩვენი სახელმწიფო ამ პრობლემით? როგორ უნდა შევუნარჩუნოთ ეროვნული შემოქმედება მომავალ თაობას?

საინტერესოა, რა მოსაზრება ჰქონდა ბატონ კუკური ჭოხონელიძეს ამ საკითხთან მიმართებაში და როგორ ხედავდა ეროვნულის შენარჩუნებასა და გადარჩენას უდიდესი ფოლკლორისტი ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინ.

- ახალგაზრდა თაობის ნაწილი დაინტერესებულია ქართული ხალხური სიმღერით, რაც, ხშირ შემთხვევაში, ოჯახური ტრადიციებით არის განპირობებული. მაგრამ მათი თანატოლების უმეტესობა დიდი ხანია, განუდგა ქართულ ეროვნულ მუსიკას. ისინი გატაცებულნი არიან ისეთი მუსიკალური მიმდინარეობებით, რომლებიც არ პასუხობენ ქართველი ერის მომავლისთვის აუცილებელ მოთხოვნებს. მე ნებისმიერი სახის აკრძალვის წინააღმდეგი ვარ. მოვუსმინოთ ყველა სახის მუსიკას, მაგრამ იგი აუცილებლად ნიჭიერი ადამიანის მიერ უნდა იყოს შექმნილი. თუ ეს მიმდინარეობები იჭრება ჩვენს ცნობიერებაში, აუცილებლად უნდა ვეცადოთ მათ გაქართულებას, აუცილებლად უნდა შევიტანოთ მათში ქართული ტრადიციის რაციონალური მარცვალი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ყველაფერი დამღუპველად იმოქმედებს ჩვენს ეროვნულ ფასეულობებზე. თანამედროვე ქართული მუსიკა თითქმის მთლიანად დილეტანტების ხელშია, რომლებიც ძალიან ცუდად, ან საერთოდ არ იცნობენ წინაპართა ხელოვნებას. ერთხელ ჩემმა სტუდენტმა მითხრა, რაღა დროს ხალხური სიმღერაა, როდესაც ადამიანები რაკეტებით დაფრინავენო. არადა, იმ რაკეტაში, რომელიც მე-20 საუკუნის ბოლოს კოსმოსში გაუშვეს უცხო ცივილიზაციასთან შესახვედრად, დედამიწის კულტურის სხვადასხვა მონაპოვართა შორის ერთადერთი ხალხური სიმღერა - ქართული „ჩაკრულო" იყო. მე მესმის, რომ ახალი დროება მოვიდა, მიმდინარეობს განახლების პროცესი. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან კაცობრიობა სხვანაირად ვერ განვითარდება. ასეთივე ცვლილებები ხდება მუსიკალურ ხელოვნებაშიც, მაგრამ ქართული მუსიკალური მეტყველება აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ. ბუნებრივია, უნდა ხდებოდეს ფოლკლორის განახლებაც, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ძირძველი ტრადიციები.

შესაძლოა, ჩვენი, უფროსი თაობის, ბრალიც არის, რომ ქართველი ახალგაზრდობა ასე დაშორდა ეროვნულ ნიადაგს. გულახდილად ვკითხოთ საკუთარ თავს, ვასწავლით თუ არა მათ ქართულ ფოლკლორს? სასკოლო პროგრამაში შეტანილია სიმღერის გაკვეთილები, მაგრამ ამ გაკვეთილებზე ყველაფერს ასწავლიან, ფოლკლორის გარდა. ქართული წერა-კითხვის შესწავლას ანბანით ვიწყებთ, ქართული სიმღერაც მისი საწყისიდან უნდა შევისწავლოთ. თუ სწავლების ეს პროგრამა დაინერგება, დარწმუნებული ვარ, რომ დასავლური კულტურის თაყვანისმცემელი თინეიჯერები აუცილებლად დაინტერესდებიან ეროვნული კულტურით.

განათლების სამინისტრომ გამოსცა დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები, რომელთა ძირითადი ნაწილი ქართულ ხალხურ სიმღერებს მოიცავს, მაგრამ მათ დანერგვას სასწავლო პროცესში ნაკლები ყურადღება ექცევა. ეს კი განათლების სამინისტროს მესვეურთა დაუდევრობის ბრალია, რაც, გარკვეულწილად, მათი მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარეობს. აუცილებელია, რომ მოხდეს იმ ინტერესთა თანხვედრა, რომლებიც ქართული ხალხური მუსიკის პროპაგანდას შეუწყობს ხელს. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ახალგაზრდობას არჩევანის საშუალება უნდა მოვუსპოთ, მაგრამ ეროვნულ კულტურას პრიორიტეტული ადგილი უნდა დაეთმოს. ნებისმიერი თავმოყვარე და ღირსეული ერი ასე მოიქცევა.

- ამ მხრივ ჩვენი ბიზნესმენები საყვედურს იმსახურებენ. უცხოელი მუსიკოსების კონცერტებისთვის ისინი არასოდეს ერიდებიან საკმაოდ სოლიდური თანხის გაღებას, მაგრამ არ მახსოვს, რომ რომელიმე მათგანს ფოლკლორული ღონისძიება დაეფინანსებინა. არსებობენ კულტურის სფეროს წარმომადგენლები, რომლებსაც ხელეწიფებათ თანხების განკარგვა, მაგრამ ეროვნული ხელოვნების დაფინანსებით არც ისინი იწუხებენ თავს. ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ ესტრადის ერთ-ერთ მომღერალს თბილისის მერიის კულტურის სამმართველომ შოუ-კონცერტის მოსამზადებლად 20 ათასი ლარი გამოუყო. ასეთ ხელშეწყობას მივესალმები, მაგრამ იმ შოუს უამრავი სხვა სპონსორიც გამოუჩნდა, ამიტომ მერიის მიერ გაწეული ფინანსური დახმარება ზედმეტად მომეჩვენა. ჩემი აზრით, თანხების ასეთი ხარჯვა არამიზნობრივია. ერთი კონცერტისთვის მერიამ 20 ათასი ლარი გამოყო, ჩვენი ფაკულტეტისთვის კი ერთ ლარსაც ვერ იმეტებს. ფოლკლორის ფაკულტეტზე დღეს გრანდიოზული სამუშაოები მიმდინარეობს. ათწლეულების განმავლობაში დაგროვილ მასალას კომპაქტ-დისკებზე ვწერთ. ყველა სიმღერის ჩანაწერი მაგნიტოფირზეა შესრულებული. ფირი კი ყოველწლიურად ზიანდება. ამიტომ ამ ჩანაწერების განახლება აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული ხალხური სიმღერის ეს უნიკალური საგანძური უკვალოდ დაიკარგება. მუზეუმებში შენახულ ექსპონატებს ყველანაირად იცავენ, ხალხური სიმღერების ჩანაწერებს კი არავინ უფრთხილდება, ისინი საშინელ მდგომარეობაში არიან.

- საქართველოში ყოველთვის მაღალ დონეზე იყო განვითარებული ტიხრული მინანქრის, ჭედურობის ხელოვნება, მაგრამ ქართული ფოლკლორი განსაკუთრებით საინტერესოა თავისი ორიგინალურობის გამო. მსგავსი რამ არც ერთი ქვეყნის კულტურაში არ მოიპოვება. ფოლკლორი ჩვენი უნიკალური სიმდიდრეა.

ფოლკლორი ერის სულიერების სარკეა. არ არსებობს ერი, რომელსაც არ გააჩნია ხალხური შემოქმედება. დროთა განმავლობაში ზოგმა ქვეყანამ დაკარგა ფოლკლორი. ამის მთავარ მიზეზად ცივილიზაციის განვითარება შეიძლება, მივიჩნიოთ. ცივილიზაციის განვითარებამ გამოიწვია სოფლის მოსახლეობის ქალაქში გადინება, რამაც, თავის მხრივ, შეამცირა იმ ხალხის რაოდენობა, რომლებმაც ზეპირად იცოდნენ ხალხური სიმღერები. მაგალითად, გერმანიასა და საფრანგეთში თიქმის აღარ არსებობს ფოლკლორი. ამ ქვეყნებში დიდი ინტენსიობით მიმდინარეობს ნოტებით დაფიქსირებული სიმღერების მოძიება, რადგან იგი ხალხურ ყოფაში აღარ არსებობს. იგივე შეიძლება მოხდეს ჩვენთანაც, თუ არ მოხერხდება ძველი ჩანაწერების განახლება.

- ძველ დროში ხალხური სიმღერები თაობიდან თაობას გადაეცემოდა და მათი დაკარგვის საშიშროება ნაკლებად იყო. ამრიგად, ძველი ფოლკლორის შესანარჩუნებლად აუცილებელია ამ სიმღერების მაღალხარისხოვანი ჩანაწერების გაკეთება.

ჩვენი ფოლკლორი სხვა ერების ხალხური შემოქმედებისგან გამოირჩევა ხარისხით. იშვიათად შეხვდებით სხვა ერის შემოქმედებაში ისეთ ხალხურ პოეზიას, როგორიც არის ხევსურული პოეზია. მაგრამ ხალხური ლექსის აღქმა ძნელია, თუ იგი დედანში არ წაიკითხე. მუსიკას კი თარგმნა არ სჭირდება. ქართული ხალხური შემოქმედების ფენომენურობას უცხოელი სპეციალისტებიც ერთხმად აღიარებენ, ჩვენ კი ამ სიმდიდრის შთამომავლობისთვის შემოსანახად თანხა არ გაგვაჩნია.

წლების განმავლობაში ფოლკლორისტები საქართველოს ყველა რეგიონში აწყობდნენ ექსპედიციებს და ადგილობრივი მოსახლეობისგან ხალხურ სიმღერებს იწერდნენ.

ექსპედიციებს ახლაც ვაწყობთ, მაგრამ ფინანსების უქონლობის გამო ფოლკლორისტები, ფაქტიურად, ენთუზიაზმზე ვმუშაობთ. საქართველოს კუთხეებში შემორჩენილი თითქმის ყველა სიმღერა უკვე ჩაწერილია და ახლა მხოლოდ მათი განსხვავებული ვარიანტების მოძიება ხდება. ადრე თითქმის ყველა სოფელში იყვნენ ცნობილი მომღერლები, რომლებიც ჩინებულ მასალას გვთავაზობდნენ. იყო შემთხვევები, როცა თითოეული ექსპედიციიდან 20-30 სიმღერის

ჩანაწერი ჩამოგვქონდა. ბოლო დროს კი ახალი არაფერი აღმოგვიჩენია, მაგრამ ძიების შეწყვეტას არ ვაპირებთ. საქართველოს მთიან რეგიონებში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ჩვენთვის უცნობი ხალხური სიმღერები.

- მე ხელთ მაქვს მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ერთ-ერთ ქართულ გამოცემაში გამოქვეყნებული დავით მაჩაბლისა და ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის წერილები, რომლებშიც დასახელებულია რამდენიმე ხალხური სიმღერა. ბევრი მათგანი ჩვენთვის ცნობილია, ზოგი მათგანის შესახებ კი არც გაგვიგია. ე.ი. იმ დროიდან მოყოლებული დაიკარგა სიმღერების გარკვეული რაოდენობა და მათი მხოლოდ სათაურები შემორჩა.

მსგავსება ქართულ და სხვა ქვეყნების, ხალხურ სასიმღერო კულტურებს შორის - ბუნებრივია არსებობს, რაც განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: შესაძლოა, ადგილი აქვს კულტურების ერთმანეთზე ზეგავლენას, ან არსებობდეს მათ შორის ნათესაური კავშირი. ისიც დასაშვებია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოიშვას ორი ერთნაირი კულტურა. ქართულ ხალხურ სიმღერებში, უმეტეს შემთხვევაში, პრიორიტეტი ენიჭება ბურდონს, ანუ გაბმულ ბანს. იგივე შეინიშნება ზოგიერთი სხვა ქვეყნის ხალხურ სიმღერებშიც. ქართულ ფოლკლორულ სიმღერას ყველაზე ახლო ნათესაური კავშირი ჩრდილო კავკასიური ერების ხალხურ სიმღერებთან აქვს. მართალია, მათი სიმღერები შედარებით პრიმიტიულია და მოკლებულია მხატვრულ ღირსებებს, მაგრამ იქაური მრავალხმიანობა ბევრი რამით ჰგავს ქართულს, განსაკუთრებით, ქართლ-კახურ სიმღერებს. ზოგი ქვეყნის ფოლკლორში საერთოდ არ არსებობს მრავალხმიანი სასიმღერო კულტურა. ეს, ძირითადად, შეიმჩნევა აღმოსავლეთის ქვეყნებში, იგივე შეიძლება ითქვას სომხეთისა და აზერბაიჯანის ხალხურ სიმღერებზეც.

- ხალხური სიმღერა თაობიდან თაობას გადაეცემა, ზოგი აკლებს რამეს, ზოგი - ამატებს. ხალხური სიმღერის ერთ-ერთი თავისებურება იმპროვიზაციაში მდგომარეობს. შემსრულებელი მუდმივად მიმართავს იმპროვიზაციას. ეს მაღალი ხელოვნებაა და უნიკალურ ნიჭს მოითხოვს. მე მინახავს შემსრულებლები, რომლებსაც უმაღლეს დონეზე ჰქონდათ განვითარებული იმპროვიზაციის ნიჭი და ერთსა და იმავე სიმღერას ყოველ შესრულებაზე სხვადასხვაგვარად მღეროდნენ. მაგალითად, სიმღერა „ხასანბეგურას" რამდენიმე ვარიანტი არსებობს, ესენია: ჩავლეიშვილის, ერქომაიშვილის, ხუხუნიშვილებისა და ბერძენიშვილების ვარიანტები. ერქომაიშვილისა და ჩავლეიშვის ვარიანტები რაღაცით ჰგვანან ერთმანეთს, თუმცა ნიუანსებით მაინც განსხვავდებიან. ხუხუნიშვილების ვარიანტი კი სულ სხვაგვარად ჟღერს.

- როგორია ქართული ხალხური სასიმღერო ხელოვნების სწავლების დონე?

- გააჩნია, ვინ არის პედაგოგი. მაგალითად, ანზორ ერქომაიშვილმა „მართვეს" სახით ხალხური სიმღერების შემსწავლელი ჩინებული სკოლა ჩამოაყალიბა. მის ანსამბლში სწავლების პროცესი პროფესიულ დონეზეა აყვანილი. იშვიათია შემთხვევა, როდესაც პედაგოგები არასწორი მეთოდით ასწავლიან სიმღერას. მათ სურთ, წარმოაჩინონ საკუთარი განსხვავებული ლოტბარული მონაცემები, რაც თანდათან არაპროფესიონალიზმში გადადის. საერთოდ, ქართველი ლოტბარები ყოველთვის შინაგანად გრძნობდნენ სიმღერას და ყველანაირად ერიდებოდნენ ხელოვნურობას.

ჩანაწერი ამოღებულია არქივიდან

უხმობდი ქარებს მარადიულებს...

არსაით ჩანდა მცირე სამხილიც,
გაიმარხილე მკათათვე მაინც,
გესმოდა ქარში უხმო ძახილი
დღეს უშენობის სევდაა რაიც!
გაიეოლიებ თოლიებს მასთან,
ეს ღვინობისთვეც მკაცრი ზენაა!
ფოთოლცვენაა შენს ფანჯარასთან
თუ წეროების გადაფრენაა.
თუ ეს არეოფნის მძიმე ტკივილი,
დღეს რომ დუმილით თავებს უხრიან,
მარადიული ჩვენი ტკივილი,
მარადიული ჩვენი მწუხრია!
დგახარ მიწის და ზეცის ნაპირთან,
განფენილია ირგვლივ ქაოსი,
აღარ გიხმობენ ახლა ზღაპრიდან,
კედლები ლურჯი სასაფლაოსი!
უხმობდი ქარებს მარადიულებს,
შემდეგ კი თვითონ გიხმეს ქარებმა
შენს სახელსა და ზრებს ციურებს
არ უწერია გარდაცვალება!

მთვარისა კერესელიძე

ხოტევი – ჩემი ოჯახურობის ოკეანილი წარსული

„ცოცხალი ანბანი აქცეულთა ცოცხალია"

მედეა გოცირიძე

ჩემი ცხოვრების საუკეთესო მოგონება ხოტევს უკავშირდება. ბავშვობისა და სტუდენტობის პერიოდის ზაფხულის თვეები აქ მაქვს გატარებული და არა მარტო ზაფხულის თვეები — ხოტევის საშ. სკოლაში ვსწავლობდი, მე-8 კლასში. ამ ასაკში მძიმედ ვიყავი ავად და შეიძლება ითქვას, ხოტევის განუმეორებელმა გარემომ, ბებიისა და ბაბუის ზრუნვამ გადამარჩინა. ასე, რომ ჩემს სიცოცხლეს ხოტევსა და ჩემს წინაპრებს ვუმადლი.

ძნელია საკუთარ ოჯახზე და წინაპრებზე საუბარი. მეშინია სუბიექტური არ ვიყო. მაგრამ, ალბათ არ ვცდები იმაში, რომ ჩემი წინაპრები რაჭაში თავის განათლებითა და საქმიანობით გამორჩეულები იყვნენ.

ბუნდოვნად მახსოვს ბებია მამის მხრიდან — **ანასტასია გელოვანი**. პატარა ვიყავი, როცა გარდაიცვალა. ბებიას დღემდე იგონებენ, როგორც პროგრესულ ქალბატონს; მან რაჭაში ჩამოაყალიბა პირველი თეატრი, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებდა. ბუნებრივია, 20-იან წლებში თეატრი დიდ როლს ითამაშებდა რეგიონის კულტურულ ცხოვრებაში.

ბაბუა — **ვარდენ გოცირიძე** საზოგადო მოღვაწე ყოფილა. უფროსი მამიდის მოგონებით, იგი ვაჟა-ფშაველას ახლო მეგობარი და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი იყო.

ჩემთვის ხოტევი ასოცირდება დედის ოჯახთან. ბებია (დიდედას ვეძახდით) — **მართა საღარაძე** და ბაბუა — **ივანე კაციტაძე** მაღალი კულტურითა და განათლებით გამოირჩეოდნენ. დიდედას ქუთაისის ქალთა გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. შესანიშნავად იცოდა რუსული და ფრანგული ენები. დიდედას ვუმადლი რუსული ენის თავისუფლად ფლობას. ბაბუა საგზაო ინჟინერი იყო და რაჭაში ხიდებისა და გზების მშენებლობა ამ პერიოდში მის სახელთანაა დაკავშირებული. ბაბუა საბჭოთა წყობილების დამთავრებამდე რაჭაში საკმაოდ მდიდარი პიროვნება იყო. მას ეკუთვნოდა ვენახები, ფოსტა, აბანოები. უნივერსიტეტის ერთმა პროფესორმა, რომელიც კარგად იცნობდა ჩვენს ოჯახს, ხუმრობით მითხრა: კაპიტალიზმი რომ ყოფილიყო, შენ თბილისის უნივერსიტეტში კი არა ოქსფორდში ისწავლიდიო. იმიტომ არის

კარგი კომუნისტური წყობა, რომ აქ, სამშობლოში იღებ განათლებასო (ჩემთვის და ჩემი ქვეყნისთვის რომელი სჯობდა ნეტავ?).

კომუნისტების მოსვლითანავე, ბაბუამ სასწრაფოდ მოახდინა „თვითგაკულაკება“. საკუთარი დიდძალი ქონება და საოცრად ეფექტურად აწყობილი ბიზნესი გადასცა ბოლშევიკურ მთავრობას საერთო-სახალხო მფლობელობაში. ბუნებრივია, მალე, მთელი ეს სიმდიდრე გაპარტახდა. ახლაც მახსოვს სევდიანი მზერა, როდესაც ჩაუვლიდა თავისი ყოფილი საკუთრების ობიექტებს, ხშირად ამბობდა: „რატომ? რა ხდება?“.

ჩემმა ნათესავმა და ბავშვობის მეგობარმა **ჯემალ კაციტაძემ**, მთხოვა აღმენიშნა დიდედასი და ბაბუის გამორჩეული თვისება — სიმკაცრე და სამართლიანობა. მართლაც, საოცრად მკაცრი და სამართლიანი პიროვნებები იყვნენ და ამიტომაც მორიდებით და პატივისცემით ეპყრობოდათ ყველა, ბავშვიც და მოხუციც.

ზაფხულობით დიდედასთან და ბაბუასთან დასასვენებლად მთელი ნათესაობა ჩამოდიოდა, არანაკლებ 20-25 კაცისა. როცა წამოვიზარდე, მაშინ გავაცნობიერე, რას ნიშნავდა ეს. ახლაც მიკვირს, როგორ ახერხებდა ორი ხანშიშესული ადამიანი ნათესავთა ამხელა არმიის მოვლა-პატრონობას. ამისი საფუძველი საოცარი შრომისმოყვარეობა იყო. მე არ მახსოვს უსაქმური დიდედა და ბაბუა. პირადად ჩემში ამან უღრმესი კვალი დატოვა იმ მხრივ, რომ თავისუფალი დრო დისკომფორტს მიქმნის.

ჩვენი ოჯახის დევიზი იყო „განათლება“, საბჭოთა „სოცშეჯიბრების“ იდეოლოგია ოჯახში სწავლასა და ბავშვთა შეჯიბრებაში გამოიხატებოდა. საჩუქრებს მხოლოდ კარგი სწავლისათვის ვიღებდი.

მეუღლე თამაზ შავგულიძე

შეუძლებელია არ გავიხსენო ხოტევის საშ. სკოლა. სწავლების დონის მიხედვით არავითარი განსხვავება არ იყო დედაქალაქის სკოლებთან შედარებით. ამის მომსწრე მე თვითონ ვიყავი. საოცრად მაღალი დონის ინტელექტუალური პედაგოგები გვასწავლიდნენ: **თამარ წულიკიძე, მიხეილ ჯმუხაძე, მარგალიტა ვაჩაძე**. ამ სკოლის დამსახურებაა ის, რომ ხოტევი ინტელექტუალთა სოფელია.

ბაბუას ძმა — ანდრია კაციტაძე ამიერკავკასიის რკინიგზის პირველი მინისტრი იყო. მის სახელთანაა დაკავშირებული რკინიგზის ხაზის — თბილისი-სოხუმის გაყვანა. იგი ადრე 20-იან წლებში გარდაიცვალა. მას რუსი ეროვნების მეუღლე ჰყავდა და ვფიქრობ, საკმაოდ „ჩაკეტილი“ ოჯახი ჰქონდათ. დედას ჰქონდა მათთან კავშირი და მისი გარდაცვალების შემდეგ, საერთოდ, დავკარგეთ კონტაქტი. მე მგონი რუსეთში წავიდნენ საცხოვრებლად.

ბიძაჩემი, **პოლიექტ კაციტაძე,** სამთო ინჟინერი იყო. მან ევროპაში მიიღო განთლება. საქართველოში ქვანახშირის მრეწველობის საწყისები და აღორძინება მის სახელთანაა ასოცირებული. დღევანდელი გადასახედიდან რაღაც, ანეგდოტური ელფერი დაჰკრავს მის ზეპატიოსნებას, ზეპროფესიონალიზმს, თავდაუზოგავად შრომას. თავისი პროფესიისადმი ავადმყოფურმა სიყვარულმა და პასუხისმგებლობამ იმსხვერპლა კიდეც. ამხელა თანამდებობის

მედეა გოცირიძის შვილიშვილი ელენე ბარათაშვილი

პირს, არავითარი ქონებრივი ცენზი არ გააჩნდა. დღეს ეს სასაცილოდ გამოიყურება. იგი კაბინეტში კი არ იჯდა, ქვანახშირის შახტებში „დაძვრებოდა“ და თვითონ აკონტროლებდა მიწისქვეშა ლაბირინთებს. აქ მოხვდა ავარიაში და დაინვალიდდა. უცნაურია, ინვალიდი კაცი შეუცვლელი სპეციალისტი იყო და ინტენსიურად მუშაობდა. ბიძაჩემთან განსაკუთრებით ვმეგობრობდი. მაოცებდა მისი განათლების დიაპაზონი: ენების ფლობა, ლიტერატურისა და მსოფლიო ისტორიის ღრმა ცოდნა. მოსვენებას არ ვაძლევდი და უამრავ კითხვას ვუსვამდი. ზოგჯერ ბავშვური ასაკით რაღაც აბსურდულს შევეკითხებოდი და მაინტერესებდა „ჩაიჭრებოდა“ თუ არა. ვერაფრით ვერ „ჩავჭერი“.

ჩემი მშობლები პედაგოგები იყვნენ, დედა — ტანია კაციტაძე ფილოლოგი, მამა — **ვალერიან გოცირიძე** ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი იყო. მამა წლების მანძილზე, განათლების სისტემაში მნიშვნელოვან თანამდებობებზე მუშაობდა. ვიყავით ოთხი და-ძმა. ცხოვრებაში ყველამ მეცნიერული მიმართულება ავირჩიეთ. უფროსი და — ნანა ექიმი იყო. რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. მისი თხოვნით ხოტევში დავკრძალეთ. ნანას განსაკუთრებით უყვარდა ხოტევი, მან იქ ააშენა მშვენიერი ბინა შვილებისა და შვილიშვილებისათვის და იქვე ახლოს არის დაკრძალული ყენდუეთის სასაფლაოზე. ნანას სახელს არ ივიწყებს მისი მეუღლე შესანიშნავი ექიმი-ტრავმატოლოგი, თამაზ შავგულიძე, რომელიც სოფ. ხოტევის საამაყო სიძეა და განსაკუთრებით უყვართ ხოტეველებს. თამაზს სრულიად უანგაროდ მრავალჯერ გაუწვდია დახმარების ხელი ხოტეველი და მეზობელი სოფლების ავადმყოფებისათვის. თამაზი ყოველწლიურად ჩადის ხოტევში და სიამოვნებით ისვენებს.

უმცროსი ძმა — ზვიადი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი იყო. იგი ახალგაზრდა გარდაიცვალა. მეორე ძმა ზაური მშენებელია, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი. მე ბიძაჩემის რჩევით ეკონომისტის სპეციალობა ავირჩიე. 70-იან წლებში ეს სპეციალობა არ იყო „მოდაში“ და ყველას გაუკვირდა, როცა ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. თანაც მედალოსანი ვიყავი. ბედნიერი ვარ, რომ ეს პროფესია ავირჩიე. ეს მეცნიერებათა მეცნიერებაა. რა თქმა უნდა, ამ შეფასებას სუბიექტივიზმის დატვირთვა აქვს. მე მაინც ასე ვფიქრობ.

მთელი ჩემი ცხოვრება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული: სტუდენტობიდან-პროფესორობამდე.

ჩემი შრომითი ბიოგრაფიის ძირითადი მომენტებია: ვიყავი უნივერსიტეტის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის გამგე, შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, განათლების მინისტრის მოადგილე. დაჯილდოვებული ვარ „ღირსების ორდენით“. ამჟამად ვმუშაობ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის უფროსად და პარალელურად ლექციებს ვკითხულობ უნივერსიტეტში. საერთოდ, უნივერსიტეტთან არასოდეს გამიწყვეტია კავშირი. ეს ჩემი ცხოვრების ნაწილია და თავდავიწყებით მიყვარს.

მეუღლე — **ნოდარ გუგუშვილი** ცნობილი ჟურნალისტი იყო. მისი წიგნი „ოლიმპიური ენციკლოპედია“ უნიკალურ ნაშრომად არის აღიარებული. ნოდარისადმი პატივისცემის ნიშნად დაწესებულია მისი სახელობის პრემია, რომელიც ყოველ წელს გადაეცემა კონკურსში გამარჯვებულ სპორტულ ჟურნალიტს.

მყავს ქალიშვილი — ნანა გუგუშვილი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი.

შვილიშვილი ელენე ბარათაშვილი. მან ჩემი პროფესია აირჩია, რაც ძალზე მახარებს.

სიძე ბიძინა ბარათაშვილი ტელეჟურნალისტია. ამჟამად ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე მუშაობს. ბიძინა ცნობილ ოჯახშია გაზრდილი, ბატონი კაკო ძიძიგურის შვილიშვილია, მედეა ძიძიგურისა და გივი ბარათაშვილის შვილი.

ასეთია ჩემი ბიოგრაფიული ჩანახატები, ისევ ხოტევს დავუბრუნდები.

ხოტევი ინტელექტუალთა სოფელია, მე არ მეგულება საქართველოში სხვა ადგილი, რომელიც ამდენი მეცნიერით, საზოგადო მოღვაწითა და საერთოდ, ცნობილი პიროვნებებით იყოს წარმოჩენილი.

ეს ჩემი ლამაზი სოფელია, მას ხოტევი ჰქვია.

მედეა გოცირიძე

პროფესორი

პატიშვილების გენიალოგია

სოფელი ხოტევი მიეკუთვნება ისტორიულად ძველ სოფელთა ჯგუფს, რომელსაც ორად ჰყოფს მდინარე ხოტეურა.

სოფ. ხოტევი შედგება ერთმანეთის გვერდით მდებარე უბნებისაგან, რომელთა დასახელება გარკვეულწილად გვარებთანაა დაკავშირებული.

აღნიშნული სტატია ეძღვნება სოფლის ერთ-ერთ გამორჩეულ ლამაზ უბანს — პატიშვილებს.

როგორც გადმოცემითაა ცნობილი, პატიშვილების დასახლება დაკავშირებულია პაატა კობახიძესთან, პიროვნებასთან, რომელსაც 3 ვაჟი ჰყოლია: თამაზი, გლახუნა და მესამეს სახელი უცნობია, რომელსაც ჰყავდა ორი შვილი სვიმონი და ვალიკო. სვიმონი და ვალიკო ადრე დაობლდნენ და მათ ზრდიდა დედა მარო ფონჯაური.

პაატას ვაჟს თამაზს 8 შვილი ჰყოლია, 4 ვაჟი და 4 ქალი. ვაჟები: პაატა, ივანე, სოსინა და იობა.

პაატა თამაზის ძეს ჰყავდა ერთი ქალიშვილი მართა. მართა ცოლად შეურთავს ქვემო თლუღელ იოსებ ცაგურიშვილს და ხოტევში დასახლებულა. იოსებ ცაგურიშვილს შესძენია: ევაკო, კოლია, გიორგი პავლე, ბესო, ანიჩკა და დარიკო. მათგან გიორგი, პავლე და დარიკო ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალნენ. აკაკი როგორც „მენშევიკი“ ციმბირში გადაასახლეს. სასჯელის მოხდის შემდეგ დასახლდა უკრაინაში. ბესო სამხედრო სამსახურში გარდაიცვალა და დასაფლავებულია სოფ. ხოტევში. ანიჩკა გათხოვდა სოფ. ჭიალიაღელეში იასონ დალაქიშვილზე და ჰყავს ერთი ვაჟი — გელა.

კოლიას 5 შვილი შესძენია: პაშა, სერგო, თალიკო და გივი. პაშა გათხოვილი იყო სოფ. კაჩაეთში. ჰყავდა სამი ვაჟი: ლერი, ოლეგი და ჯუმბერი. ლუდა გათხოვილი იყო სოფ. ხოტევში აბიბო კობახიძეზე, ჰყავს 2 შვილი: ჯანიკო და ციალა. სერგო დაოჯახდა დუშეთში ელენე ძლურიშვილზე, ჰყავს ორი შვილი ნანი და ნიკოლოზი.

ივანე პაატას ძეს ჰყავდა 6 შვილი: სეფე, დავითი, ყაფლანი, გრიგოლი, ებე და ბაისო.

სეფეს მეუღლე დაფინასთან ერთად ჰყავდა ორი ვაჟი ექვთიმე და შალიკო. ექვთიმეს ჰყავდა ქალ-ვაჟი ემელიანე და თამარი. შალიკოს-ორი შვილი ლუბა და შოთა (შოთა ჯარში დაიღუპა).

დავითს ჰყავდა მეუღლე მაგდანა და ორი შვილი – აბელი და ევნადო.

ყაფლანს ცოლად ჰყავდა პოლინე სირაძე და 6 შვილი: ნიკალა, კოტე, აპოლონი, ირაკლი, ლიმონიკა და მარიამი. ნიკალას მეუღლე ბაბილინასთან ერთად ეყოლა ორი ვაჟი: უჩა და გოგია. კოტეს და მის ცოლს ვერა მიქაძეს ჰყავდა ორი ქალიშვილი — ლიანა და ელზა. აპოლონს კატუშა ყიფიანთან ერთად ჰყოლიათ სამი შვილი: ჯუმბერი, ნანული და მზია. ბიკენტის ელენე კერესელიძესთან ერთად ჰყავთ სამი შვილი: მურმანი, მზია და პაატა. ირაკლის ჟუჟუნა სულთანიშვილთან ერთად შეეძინათ ორი ქალიშვილი — დარეჯანი და თინა.

სოსანას ჰყოლია 4 ვაჟი და ერთი ქალიშვილი, ალექსი, იასონი, ადამი, გერმანე და ეფემია. ამასთან, ადამი და გერმანე ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალნენ, იასონი და ეფემია სამეგრელოში დასახლდნენ.

ასეთია პაატას პირველი ვაჟის თამაზის შთამომავლობის მოკლე ისტორია.

პაატას მეორე ვაჟს გლახუნას ხუთი შვილი ჰყოლია: პეტრე, სიმონი, ივანე, ბასილა და გოგინა. პეტრეს ჰყავდა სამი შვილი: პავლე, მელიტონი, სილო და მიხეილი. პავლეს პირველ ცოლთან ჰყავდა ერთი ვაჟი ტრიფონი, ხოლო მეორე ცოლთან, პელაგია დოხნაძესთან ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი.

სიმონ გლახუნას ძეს პირველ ცოლთან ჰყავდა ვაჟი, სილო, ხოლო მეორესთან-ნინოსთან, მისანო. სიმონს, როცა ნინო შეურთავს ჰყავდა გერები, ხოლო ვასასი გათხოვდა სიფო კობახიძეზე. სილოს მეუღლე ნინო ჭელიძესთან ერთად ეყოლა 6 შვილი: ბიძინა, ავთანდილი, ანიჩკა, პაშა, ბაბულია და ეთერი. ბიძინა ჩაესიძა სამეგრელოში, ხოლო ავთანდილი ოჯახით ცხოვრობდა ზესტაფონში.

ივანე გლახუნას ძეს ჰყავდა ცოლი ნინო გოცირიძე, მათ შეეძინათ 3 შვილი: სასო, გიორგი და ლიდა.

ბასილა გლახუნას ძე კობახიძეს მეუღლე ნატალია ავალიანთან ერთად ჰყავდა 5 შვილი: პოლიკარპე, ბესარიონი, კიმოთე, ფოტინე და მიშა.

გოგინა გლახუნას ძეს ჰყავდა 4 შვილი: არსენა, იორამი, იაგირი და სვიმონი.

შენს ხელებს ვეამბორები

ბავშვობაში მეგონა დედა მუდამ მეყოლებოდა. ისე, როგორც მზის მცხუნვარება, როგორც დღე და ღამე. პატარები მივარბენინებდით მასთან დამტვრეულ მუხლებს და ჩამოშლილ კაბებს. ის გვივლიდა, გვკურნავდა, გვიკერავდა და ნებას არ გვაძლებდა სულით დავცემულიყავით. ვიყავით გულმოწყალენი მის მიმართ, ვთხოვდით განუზომელ ყურადღებას და სიყვარულს, ძალიან გვიან ვხვდებოდით, რომ დედასაც ასეთივე გული აქვს და სტკივა. ყველა შვილი ერთნაირად ეგოისტები არიან და ყველა დედა უნიკალურია შვილების მიმართ თავისი უსაზღვრო სიყვარულით.

ნელი ჩხარტიშვილი

ყოველ დღე დედები აკეთებენ ერთიდაიგივეს: გარბიან სამსახურში, რეცხავენ, ალაგებენ, ამზადებენ, დადიან ბაზარში. ასეთები გვახსოვს ისინი, ფიქრებში თავის ოჯახზე და ჩვენს პატარ-პატარა პრობლემებზე, როდესაც ვიზრდებით — ისევ ჩვენი, მაგრამ უკვე დიდ-დიდი პრობლემებით და შვილებით დახუნძლულნი. აზრადაც არ მოგვდის, რომ დედებსაც შეიძლება ჰქონდეთ თავისი ცხოვრება, თავისი საიდუმლოებები, თავისი მიჩუმებული სევდა.

მე არც ისე ცოტა წელი განვლე, ისე ჩქარა გაირბინა წლებმა, როგორც ზაფხულის ქარის მსუბუქმა სიომ. გავხდი დედა და ბებიაც, ვიყავი უზომოდ ბედნიერი და უსაზღვროდ უბედური, მყავს გულითადი მეგობრები და მტრები, ვპოულობდი და ვკარგავდი. და მხოლოდ ახლა, როდესაც უკვე ვერაფერს დავიბრუნებ და ვერაფერს შევცვლი, სულ უფრო ხშირად მაგონდება კაშკაშა სურათები დედაზე, ამოტივტივებული ჩემს მეხსიერებაში და შესაძლოა, მე ახლა ვიწყებ რაღაცის გაგებას.

... არდადეგებია, დედას მივყავარ ბებიასთან. ჩვენ სოფლის გზაზე მივაბიჯებთ. ანათებს მზე, ცხელა. მე, როგორც ლეკვი, გამოქცეული შარა გზაზე, დავრბივარ ცხელ მიწაზე, ვამტვერებ იქაურობას და დედის მუდარა არ მესმის. გზაში გვხვდება ხნიერი კაცი, ჩერდება ჩვენს წინ და იხდის ქუდს. დედა ესალმება და ფულს აწვდის. მე არ ვუსმენ მათ საუბარს, ვუყურებ, როგორც კადრებს ფილმიდან და მეცინება. ბაბუა კაცს ხელში ავყავარ, მაგრად მეხუტება და მკოცნის. დედა სტაცებს ჩემ თავს და ჩვენ მივდივართ, ძალიან ჩქარა, თითქმის მივრბივართ. „ვინ არის?“ — ვეკითხები, თან ძლივს ვსუნთქავ. „მამაჩემი, სულ პატარა მიმატოვა,“ — ჩურჩულებს დედა და თან ცრემლები ჩამოსდის სახეზე. აღარასოდეს მინახავს ჩემი ბაბუ, სულ დავივიწყე ეს უცნაური ისტორია და გავიხსენე მხოლოდ მაშინ, როდესაც ვაჟიშვილს სკოლაში მისცეს საშინაო დავალება — გენიალოგიური ხის დახატვა. რატომ არ ვკითხე დედას მის მამაზე, რატომ არ ვიცი ვინ არის და საიდან! როგორ ცხოვრობდა, ჰყავდა კიდევ შვილები, ესეიგი ჩემი ნათესავები? არც მისი გვარი ვიცი და ამ დრომდე მავიწყდება კითხვა.

დედა, მაპატიე! მხოლოდ უდარდელ ბავშვს შეუძლია იყოს ასეთი უგულო და გულქვა.

... მეზობლის ქორწილში ახალგაზრდები მაგნიტოფონის ხმაზე ზანტად ცეკვავდნენ, უცბად გაისმა აკორდეონის ხმა და დედამ ცეკვა დაიწყო.

ნეტავ რამდენი წლის იყო? შეიძლება 35-ის თუ 40-ის ო, როგორ ცეკვავდა... ერთი სიმღერა მეორეს ცვლიდა, რომელშიც აუცილებლად ისმოდა სიტყვა „საყვარელი“, „მე შეყვარებულმა მიღალატა“ და ა.შ. მუსიკოსი, მერამდენედ იწყებდა მელოდიას, რადგან ხვდებოდა — არ შეიძლებოდა ამ მონოლოგის შეწყვეტა, შეიძლება დიალოგისაც.

ასეთი გულახდილობის გამო სტუმრები გაჩუმდნენ, სდუმდა მამაც, მიშტერებული თავის ჭიქას. მე კი თვალს ვერ ვაშორებდი დედას. ვერ ვცნობდი ჩემს ჩუმ და მშვენიერ დედას — მაღალი მკერდი, ვიწრო წელი, ჩამოშლილი ნაწნავი. ვისთვის ცეკვავდა, ვის უმღერდა, ვისი გულისთვის დაარღვია ტრადიციები, ვითომ და ბედნიერმა გათხოვილმა ქალმა?! და მერე სახლში, მამის მკერდზე მიკრული ისე მწარედ და გულმოდგინედ ტიროდა, ვითომ დაკარგა ყველაზე ახლობელი ადამიანი. მამა მას კოცნიდა, რის გამოც დედა კიდევ უფრო მწარედ ტიროდა...

დედა, მაპატიე! დაკავებული ვარ ჩემი სასიყვარულო თავგადასავლებით, არასდროს დავინტერესებულვარ შენი პირადი ცხოვრებით და მხოლოდ მაშინ, რომ განვიცადე ვნებიანი და განუსაზღვრელი სიყვარული, მივხვდი, რატომ გტკიოდა ასე სხვის ქორწილში.

დედასთან ჩამოვედი სტუმრად. შვილი გამიხდა ავად. მოვიდა ექიმი, გასინჯა — ფილტვების ანთება აღმოაჩნდა. დილამდე როგორმე გაძელით. ცენტრიდან მოვა სასწრაფო, — გვითხრა ექიმმა. ბიჭი იწვოდა სიცხისაგან, ბოდავდა, ბოდავდა. სიმწრისაგან გაოგნებული, ცრემლებისაგან დასივებული ვიჯექი შვილის ფეხებთან და ვფიქრობდი მხოლოდ ერთზე — თუ დავკარგავ, სიცოცხელე აღარ ღირს. დედა ოთახში ხატების წინ ჩუმად ლოცულობდა. ის არ იყო ფანატიკური მორწმუნე და ეკლესიაშიც იშვიათად დადიოდა. „ღმერთი ყველგან არის ბუნებაში და მან მე შემქმნა, ის ჩემთან არის და ჩემში, — ამბობდა ის. დედის მიმართვა ღმერთისადმი არ იყო იმ ლოცვების მსგავსი, რომელიც მე ვიცოდი და მსმენია. მას არ შეიძლება დაარქვა ლოცვა, ეს უფრო ხელშეკრულება იყო ორი დაინტერესებული პირის. დედა ლაპარაკობდა უბრალოდ და მტკიცედ, ღრმად დარწმუნებული, რომ ღმერთს ესმის მისი და არ შეუძლია თქვას უარი: „ღმერთო, რად გინდა ეს ბავშვი ანგელოზი? თუ ვინმეს სული გჭირდება, წაიღე ჩემი. მე ბებერი, ცოდვიანი, ჩვენ ბევრი გვაქვს სალაპარაკო. მე ვერ მოვიპოვე ვერც სიდიადე, ვერც სიმდიდრე და მთელი ჩემი განძი — ჩემი შვილებია. მოეშვი შვილებს, ღმერთო! “.

ის სთავაზობდა თავის სიცოცხლეს ჩემი შვილის სიცოცხლის სანაცვლოდ, ვითომ სიკვდილი არ იყო მისთვის ის ზღვარი, რის შემდეგ უცნობლობა და მარადისობა ერთნაირად საშინელია და გაუგებელი. მე არ ვუარვყავი და მე არ შევაჩერე ის. რატომღაც, სადღაც, ღრმად-ღრმად, ჩემი სულის ბნელ ლაბირინთებში, სადაც არ წვდება ნამუსის სხივი, შიშით იქ სამუდამოდ დარჩენის, მე დავეთანხმე ამაზე, რადგან შვილი ჩემთვის ძვირფასი იყო დედაზე. დედა, მაპატიე!

დნება თოვლი, მწვანდება და მშვენდება ბაღები, მოდის წვიმა, ხმაურობენ ქარები და მიჰქრიან წლები. დედა გახდა სულ პატარა და ბებერი. ის ჰგავს ჩიტს, ფანტასტიკურს და გამოუცნობელს, არამიწიერს. ხანდახან მინდა ხელში ავიყვანო, როგორც ბავშვი და არ დავუშვა არადროს. მაგრამ ის ცხოვრობს მარტო და არ უნდა ჩემთან გადმოსვლა ქალაქში. ის ელაპარაკება თავის ცხოველებს და მცენარეებს, მას არ უყვარს ადამიანებთან ურთიერთობა, მან იცის რაღაცა საიდუმლო, რომელიც მე არ ვიცი. ვეხვევი მას მხრებზე, ვუყურებ თვალებში, ვეამბორები მის ხელებს... დედიკო, ჩემო საყვარელო, რა შემიძლია გაგიკეთო!?

ვყიდულობ ყველაზე ლამაზ კაბას, რომელიც ახალგაზრდობაში არ გქონია, მომაქვს შენთვის ყველაზე გემრიელი, ყველაზე ტკბილი კამფეტები, რომელიც არასდროს გიჭამია, მინდა წაგიყვანო თბილ ზღვაზე, რომელიც აქამდე არასდროს გინახავს.

შენ სინანულით იღებ ჩემს საჩუქრებს, ყურადღებით უსმენ ჩემ წინადადებებს. მიგყავარ შენ ბაღში, სადაც მღერის ბულბული, მაჩვენებ, ვარდს, რომელიც ჩემი ჩამოსვლისთვის აყვავდა, წყალს იმ ჭიდან მასმევ, რომელიც მამაჩემმა ამოთხარა, უკან მოგვსდევს ქათამი კატო, კატა არა, თხა მანია. შენ მემართლები, რომ არ შეგიძლია მათი დატოვება, რადგან ისინი შენი ოჯახია. დედა, მაპატიე!

როდესაც ჩვენი დედები მიდიან, გვესმის, რომ ვკარგავთ უზომოდ მეტს, ვიდრე ახლობელი ადამიანი — ჩვენ ვკარგავთ ჩვენს ნაწილს. დარჩენილ დღეებში ჩვენ ვცდილობთ რაღაცა გამოვასწოროთ, დავეწიოთ, შევცვალოთ. ვიხსენებთ და ვიხდით სამახსოვრო თარიღებს, ვდგამთ ძეგლებს, მოგვაქვს საფლავზე ყვავილები და ვყლაპავთ ყველაზე მწარე, ყველაზე პატიოსან ცრემლებს. ამით ვდემონსტრირებთ ჩვენს სიყვარულს, ვითომ და ვემართლებით, ვითომ და ვებოდიშებით და გვესმის, რომ გვიანია.

დალოცვილები იყავით, ჩვენო დედებო! გვაპატიეთ დედებო წასულებს მარადისობაში.

ტექსტი რუსულიდან თარგმნა

ნელი ჩხარტიშვილმა



გრიგოლი და ვლადიმერ ჯაფარიძეები

ტყუპი ძმები გრიგოლი (გრიშა) და ვლადიმერი (ლადო) დაიბადნენ 1887 წლის 14 (27) მაისს ზემო რაჭის სოფ. ღარის მკვიდრის, სახალხო მასწავლებლის, მალაქია ჯაფარიძის ოჯახში. ძმებმა სწავლა ონში დაიწყეს და შემდგომში ქუთაისის რეალურ სასწავლებელში გააგრძელეს. რეალური სასწავლებელი კლასიკური გიმნაზიისგან განსხვავებით ორიენტირებული იყო ცხოვრებისეული პრაქტიკული დისციპლინების სწავლებაზე. ამით იყო განპირობებული ხატვის სწავლების მაღალი დონე, რასაც ხელს უწყობდა შესანიშნავად ორგანიზებული ხატვის კაბინეტი და პედაგოგად მოწვეული ვასილ კროტკოვი, რომელსაც ახალი დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელი. ძმებს როგორც ჩანს ჰქონდათ შინაგანი მიდრეკილება მხატვრობისადმი, რაც სასწავლებელში კიდევ უფრო გაიზარდა და მათ სიცოცხლის ბოლომდე დარჩათ ხელოვნების ამ დარგისადმი განუზომელი სიყვარული.

ვლადიმერ ჯაფარიძე (ჭუტა), ელისაბედ აბაშიძე (ლიზა), გრიგოლ ჯაფარიძე

რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ძმებმა 1906 წლიდან მოსკოვის უნივერსიტეტში განაგრძეს სწავლა, გრიგოლმა ისტორიულ–ფილოლოგიურ, ხოლო ვლადიმერმა იურიდიულ ფაკულტეტებზე. მოსკოვში ჩასვლისთანავე ძმები აქტიურად ჩაერთვენ ქართველთა მოსკოვის სათვისტომოს საქმიანობაში. აქ მათ გაიცნეს და აქტიური ურთიერთობა დაამყარეს მოსკოვში მოღვაწე უნივერსიტეტის პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილთან, გამოჩენილ მსახიობთან სუბათაშვილ–იუჟინთან, კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილთან. ამ პერიოდში სწორედ ხახანაშვილის რჩევით ძმებმა რუსულად თარგმნეს ილია ჭაჭავაძის „გლახის ნაამბობი“, აკაკი წერეთლის „ბაშიაჩუკი“ და ალ.ყაზბეგის რამდენიმე მოთხრობა. ეს თარგმანები 1911 წელს მოსკოვის გამომცემლობა „პოლზამ“ 3 მცირე ზომის წიგნად გამოსცა. ეს იყო ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებთა რუსულ ენაზე დაბეჭდვის ერთ–ერთი პირველი შემთხვევა. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ წიგნების დიდ ტირაჟს და ხელმისაწვდომ ფასს, ცხადი გახდება, რომ ამ გამოცემით გაკეთდა ძალიან დიდი საქმე ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების მრავალრიცხოვანი რუსულენოვანი მკითხველისათვის გაცნობის საქმეში.

ამავე წლებში ძმებმა იგივე ხანანაშვილის რჩევით ხორცი შეასხეს თავის სანუკვარ ოცნებას შეექმნათ შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც თავისი

ინტერპრეტაციით დიდად განსხვავდებოდა პოეტის იმ დროს დაკანონებული გამოსახულებისაგან. ამ პორტრეტის რეპროდუქცია 1912 წელს პირველად გრ.დიასამიძის მიერ გამოცემულ გაზეთ„თემში“ დაიბეჭდა და თავისი არატრადიციულობის გამო საზოგადოებაში აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. იმავე 1912 წელს პორტრეტი ასევე დაიბეჭდა პაოლო იაშვილის მიერ გამოცემულ ჟურნალ „ოქროს ვერძის“ პირველ ნომერში. შემდგომში – 1924 წელს იოსებ იმედაშვილმა რუსთაველის პორტრეტი დიდი ტირაჟით დაბეჭ-და და საჩუქრად დაურიგა მის მიერ გამოცემუ-ლი ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ ხელის მომწერებს. 1940 წელს კი გამომცემლობა „სახელგამმა“ პორტრეტის რეპროდუქცია ღია ბარათის სახით ასევე დიდი ტირჟით გამოუშვა.

1910 წელს ძმებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ლევ ტოლსტოის დაკრძალვაში, რაც იმ დროინდელ ფოტოებში და კინოქრონიკაში არის ასახული. ისინი ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართული სათვისტომოს მიერ გამართულ ღონისძიებებში, მაგალითად მოსკოვში დიდად პოპულარული „ქართული საღამოების“ ორგანიზებასა და ჩატარებაში. 1912 წელს აკაკი წერეთელის რაჭაში მოგზაურობის დროს ძმები მალაქია ჯაფარიძის მთელ ოჯახთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ მგოსნის დახვედრაში და მისი ყურადღებაც დაიმსახურეს. სწორედ აკაკისთან შეხვედრით მიღებული უდიდესი შთაბეჭდილებით 1912 წელსვე შექმნეს ძმებმა პასტელში შესრულებული აკაკის პორტრეტი. ამ პორტრეტმა დასაბამი მისცა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტების მთელ გალერეას, რომელიც გრიგოლის 1953 წელს გარდაცვალების შემდეგ ლადომ მარტო გააგრძელა. ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებში ძმების მიერ შესრულებული მისი პორტრეტი გაზეთმა „პრავდა“ პირველ გვერდზე დაბეჭდა, რაც იმ დროს დიდ პატივს წარმოადგენდა. სხვა მრავალრიცხოვან პორტრეტებს შორის აღსანიშნავია ალ. ყაზბეგის, ვაჟა–ფშაველას, ივანე მაჩაბელის, ეგნატე ნინოშვილის, ახალგაზრდა დიმ. არაყიშვილის სახეები.

მნიშვნელოვანია ძმების მონაწილეობა „ცის-ფერი ყანწების“ მომზადებასა და გამოცემაში. საკმარისია ითქვას, რომ „ცისფერი ყანწების“ ყდა პაოლო იაშვილის შეთავაზებით ლადოს მიერ იქნა შესრულებული.

ლადო ჯაფარიძემ მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობა ქ.ფოთში

დაიწყო, სადაც იგი იმდროინდელმა ქალაქის თავმა ნიკო ნიკოლაძემ მიიწვია ქალაქის მმართველო-ბაში სამუშაოდ. 1921 წლიდან ლადო თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და გარკვეული პერი-ოდი თბილისის ქალაქის საბჭოში მუშაობდა. შემდეგ მოღვაწეობა ახლად დაარსებულ საგამომცემლო ორგანიზაციაში – „სახელგამში“ გააგრძელა. 1936 წლიდან მან მამისა და ძმის მსგავსად პედაგოგიურ მოღვაწეობას მიმართა. თავიდან თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტზე რუსულ ენას ასწავლიდა, ხოლო 1938 წლიდან ამ ფაკულტეტის დამოუკიდებელი ფიზიკური კულტურის ინსტიტუტად ჩამოყალიბების დღიდან პენსიაზე გასვლამდე იყო ამ ინსტიტუტის ჯერ რუსული ენის პედაგოგი, შემდგომში კი ენების კათედრის გამგე. პენსიაზე გასვლის შემდეგ ლადომ ხელი მიჰყო თავისი ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი მოვლენებით აღსავსე ცხოვრების მოგონებების წერას. 2007 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა“ დაბეჭდა ლადო ჯაფარიძის მოგონებები. ამ წიგნის გამოსვლამ ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე რამდენიმე აღტაცებული გამოხმაურების დაბეჭდვა გამოიწვია. ლადო 1981 წელს 94 წლის ასაკში გარდაიცვალა.

გივი სიხარულიძე

ნოველები

სიცოცხლის მოწმობა

შპს „ჰერმესი“. სევდანარევი ირონიით წავიკითხე და მანქანიდან გადმოვედი. დაახლოებით ცხრა წლის ბიჭუნა კარებთან შემეფეთა: — ვუყურებ რა მანქანას, ვუყურებ რაა...

— უყურე ბიძიკო, უყურე! — ვუთხარი მე და იმ „ბედნიერების“ სავანეში შევდგი ფეხი, საიდანაც თითქოს, ჰადესის ოხშივარი იფრქვეოდა.

ჩემი მეუღლის გარდაცვალების მოწმობა მჭირდებოდა.

იქ გამეფებულმა რეალობამ შემძრა. სრულიად ჩაბნელებულ მოსაცდელში ამოვყავი თავი, სადაც ძლივს გავარჩიე ჩაშავებული ჭირისუფლები, რომლებიც ჩემსავით თავისიანის გარდაცვალების დამამტკიცებელი მოწმობის მისაღებად მოსულიყვნენ.

მკვდრების მთავარი „ყარაულის“ კაბინეტი მოვიკითხე. მიმასწავლეს. კარები შევაღე თუ არა, მდივანს შევეფეთე, რომელიც ისე ჩაშავებულიყო, რომ გულზე სევდა შემომაწვა.

— გამარჯობათ, ქალბატონო! უფროსი აქ არის?

— არა ბატონო! დღეს არ იქნება, — თავაზიანად მიპასუხა ქალმა და დასძინა — იქნებ მე გამოგადგეთ რამეში?

როცა ავუხსენი, რაც მინდოდა, სწრაფად წამოდგა, წამობრძანდითო და სრულიად ჩაბნელებული დერეფნისაკენ გამიძღვა.

პატარა ოთახის კარი შეაღო, სადაც ორი ქალბატონი იჯდა.

— პატივცემულს მიმიხედეთო, — უთხრა და უხმოდ გარეთ გავიდა.

— სკამზე ჩამოვჯექი. ორივე ქალი ძაძებში იყო გამოწყობილი. ცნობისმოყვარეობამ მძლია და ვკითხე — შავები მოდისთვის გაცვიათ?

— ისე თქვენმა მტერმა და ავადმახსენებელმა ჩაიცვას შავები. ძმა და ქმარი ერთ დღეს დამეღუპა, ავტოკატასტროფაში.

მეორე ქალმა, ეტყობა, ახლა მე არ დამისვას იგივე კითხვაო, მწუხარებით წარმოთქვა — მე კი, ქმარიო.

ცუდად გავხდი. ჩემი თავი ყველაზე ტრაგიკული კაცი მეგონა. აქ კი, თურმე, როგორი უბედურება ტრიალებდა.

მთელი ცხოვრება მაღიზიანებდა სხვადასხვა დაწესებულებათა დირექტორების დამძიმებული, ათასგვარი მაკიაჟით გასხივოსნებული მეტიჩარა მდივნების შეხვედრა. ახლა კი ისე მომინდა მათი დანახვა, როგორც მწყურვალს წყალი. ვიგრძენი სიცოცხლისაკენ დაუოკებელი სწრაფვა. ერთი სული მქონდა, აქაურობა დამეტოვებინა.

საბუთი მომცეს. მადლობა გადავუხადე და სიკვდილის ამ ყუთიდან კი არ გამოვედი, გამოვფრინდი.

პატარა ბიჭი ისევ შემომეგება.

— ბიძია, ხომ ვუყურე მანქანას, ფული მომე, რა!..

ჯიბიდან ოცი თეთრი ამოვიღე და გავუწოდე.

— გმადლობთ ძია, გმადლობთ! — მითხრა თუ არა, მოწყდა ადგილს, გამიკვირდა, ვერ მივხვდი, სად გარბოდა. დაახლოებით ოც მეტრში ჯიხურთან გაჩერდა, ოცთეთრიანი მიაწოდა და ორი ცალი საღეჭი რეზინი იყიდა. ერთი იქვე გახსნა. ისეთი სიამოვნებით დაიწყო ღეჭვა, ლამის ნერწყვი მომადგა.

— ბიჭი, ბიჭი, მოდი ჩემთან! — დავუძახე. ისიც სწრაფად მომიახლოვდა. ვგრძნობდი, „ჰერმესის“

კედლებში გამეფებული სიკვდილის შემდეგ, ამ ბიჭის სახით როგორ შემოფრინდა ჩემს სულში სიცოცხლე. თავზე ხელი გადავუსვი და სიყვარულით ვკითხე.

— გიყვარს „ჟუვაჩკა“? აქ ცხოვრობ?

— ძალიან, ბიძია! აქ ვცხოვრობ.

— მამა ვინ არის?

— არა მყავს!

— დედა?

— შარშან მომიკვდა.

— როგორ, ვისთან იზრდები?

— უბანში.

— რას ჰქვია უბანში?

— ჰოო, ეგრე! ხან ვისთან და ხან ვისთან.

— სახლი ხომ გაქვს?

— არა. სწორედ მაგას გადაყვა დედაჩემი. მამას სახლი ბანკში ჰქონდა ჩადებული. მამის გარდაცვალებიდან ექვს თვეში, ვალის გადაუხდელობის გამო, სახლი ბანკმა წაიღო.

იმის შემდეგ დედამ ორი დღე იცოცხლა! დაასრულა ბიჭმა ამბავი.

— ვაჰ, ღმერთო! ეს რა დღე გამითენე... ამოვიგმინე...

მერე პატარას შევხედე და ინსტინქტურად ვუთხარი: — წამოხვალ ჩემთან, საცხოვრებლად?

— წამიყვან რო... — მითხრა და თავისი სიცოცხლით სავსე თვალებით, თვალებში ჩამხედა.

— წაგიყვან! — ვუპასუხე მე და ვანიშნე მანქანაში ჩამჯდარიყო. როცა გვერდზე გავიხედე, შევნიშნე, რომ, თურმე, მთელი უბანი ისმენდა ჩვენს დიალოგს. ერთი ხანში შესული ქალი, მომიახლოვდა, გამომცდელად შემომხედა და მითხრა: — თუ მართლა წაიყვან, ღმერთი დაგლოცავს...

— უკვე წავიყვანე! — ვუპასუხე და საჭეს მივუჯექი. ბიჭი, ცოტა დაბნეული, მაგრამ აშკარად ბედნიერად გრძნობდა თავს. ჩემს გვერდით წამოსკუპდა. როცა მანქანა დავძარი, მესმოდა როგორი სიყვარულითა და თბილი შეძახილებით აცილებდა მას მთელი უბანი.

მე კი, სიკვდილის მოწმობის მაგივრად, სიცოცხლის მოწმობით ვბრუნდები შინ.

მეყვავილე ავთო

ჩემს ახალგაზრდობაში ყვავილების ყიდვა თუ გინდოდა, კაცი ორთაჭალის სათბურებს უნდა სწვეოდი. მთელი კრწანისი ნაირნაირი სურნელის ყვავილებით იყო მოფენილი. რამდენჯერაც უცხოელი სტუმარი მიმიყვანია, იმდენჯერ განცვიფრებითა და აღფრთოვანებით უთქვამთ: — სამოთხის ბაღია, სამოთხის ბაღიო...

ჰოდა, ამ სამოთხის ბაღს ერთი სამოთხის ჩიტივით კაცი უვლიდა, სახელად ავთო. მის სიფრიფანა, ფერმკრთალ ტუჩებს ყოველთვის სიკეთის ღიმილი დასთამაშებდა, ხოლო ტუბერკულიოზისგან მიმქრალ სხეულს აშკარად ეტყობოდა სტუმრის მობრძანებით გამოწვეული აჩქარებული გულის ფეთქვა, რომელიც ორღანზე აყღერებულ ფუგასავით ნელ-ნელა წყნარდებოდა.

არაერთ მებაღეს ვაკითხავდი ყვავილების შესაძნად, მაგრამ ავთოს სათუთმა მოქცევამ ჩემს სულთან და ყვავილებთან ისეთი უხილავი ძაფი გააბა, რომ სხვა მებაღისკენ გახედვა უკვე მკრეხელობად მიმაჩნდა.

ერთხელ ღამის 11 სთ-ზე მივაკითხე. მანქანაში ერთი მეტიჩარა, უნიჭო მსახიობი მეჯდა. ავთო შინ არ დამხვდა. მისმა მეუღლემ მორიდებით შეგვიპატიჟა და დასძინა:

— თუ დაუცდით ოც წუთში ამოვა, თუ არა და სათბურში ჩააკითხეთ, იქ საქმიანობსო.

მე მიპატიჟებაზე მადლობა მოვახსენე და ავთოს სათბურში ჩავაკითხე. ბაღში ვარდებს სილამაზეში პაექრობა გაუმართავთ. აი, გამოჩნდა ავთოს ნახევრად მელოტი თავი, რომელიც ხან ჩაიკარგებოდა ყვავილებში, ხანაც ისევ ამოყვინთავდა.

მიუხედავად იმ აშკარა დისონანსისა, რომელიც მომვლელსა და ყვავილებს შორის სუფევდა,

ნათლად სჩანდა კაცი უფალს ყვავილების მომვლელად და სათაყვანოდ გაეჩინა.

რატომღაც გადავწყვიტე, არ დამეძახა. გარინდული ვიდექი და მის ყოველ მოძრაობას თვალს ვადევნებდი; შიგადაშიგ ყვავილებსაც ვუყურებდი. ავთო მოწიწებით დაიხარა, მიწა მოუჩიჩქნა, მერე ფურცლებს ერთი შავი ვარდის წინ ფაქიზად შეეხო და ბაგე მიადო. მივხვდი, რომ კოცნიდა. ჩემდაუნებურად ვარდს დავაკვირდი. მომეჩვენა, — ყვავილმაც კოცნით უპასუხა, კოკორი გადაიშალა და ისევ შეიკუმშა. აქამდე არასოდეს მენახა ავთოს ვინმე გადაეკოცნოს. შვილებსაც კი რუდუნებით გადაუსვამდა ხოლმე თავზე ხელს და ისე სცილდებოდა. არ უნდოდა თავისი ავადმყოფობის მოზიარედ გაეხადა ვინმე. აქ კი სხვა რამ ხდებოდა.

კარგად იცოდა, თავისი სნეულება ამაყად ყელმოღერებულ თავმომწონე ვარდს არ გადაედებოდა.

აი, თურმე ვინ ყოფილა მისი ალერსის თანამოზიარე. კიდევ უფრო გავირინდე. არ მინდოდა გაეგო, რომ შემთხვევით მისი სულის საიდუმლო კარიბჭეში შევიხედე. უცებ თითქოს კეფამ იგრძნო უცხო თვალი, შემცბარმა მოიხედა და შესასვლელთან მე შემამჩნია.

— გამარჯობა, ჩემო ავთო! — შევძახე რიხიანად, თითქოს და იმ წამს შევდგი ფეხი მის საუფლოში.

— გამარჯობა, ჩემო ბატონო! — მიპასუხა მორცხვად და თავჩაღუნულმა ჩემსკენ გამოსწია.

როცა ხელი ჩამოვართვი და მისვლის მიზეზი ავუხსენი, დაფაცურდა, ყვავილების საჭრელით რამდენიმე მშვენიერი ვარდი მოჭრა და ბოლოს სათბურის შუაგულში გადაინაცვლა. მომეჩვენა თითქოსდა ვარდები სიკვდილის პანიკას მოეცვა, რადგან არცერთმა იცოდა ვინ გახდებოდა მისი მაკრატლის მსხვერპლი. კაცმა თავის რჩეულს რამდენჯერმე აუარა გვერდი.

ვარდები, რომლებიც მოსაჭრელად არ აირჩია მებაღემ, კეკლუცი ქალების მსგავსად შეურაცხოფილები ჩანდნენ, ვითომ რა, მოჭრილები ჩვენზე ლამაზები არიანო?! გაორება იგრძნობოდა ყვავილებში. არც დაღუპვა უნდოდათ და არც შეუმჩნევლად დარჩენა.

— აღარ მოჭრა არც ერთი! — შევყვირე გიჟივით.

— რა მოხდა ჩემო კარგო. — მზრუნველად იკითხა ავთომ.

— არ მოჭრა, თუ ძმა ხარ! — ვუპასუხე მე. სამად სამი მოჭრილი ვარდი გამოვართვი... შესასვლელში, ას ყვავილს რომ ეყოფოდა, იმდენი ფული დავტოვე. ავთო, იცოდე ფული აქ დევს, — შევყვირე გასვლისას.

— მაგას ნუ მაკადრებ, — მომაძახა.

ყური არ ვათხოვე, მანქანაში ჩავჯექი. ვისთვისაც ყვავილები ავიღე, იმას არ მივეცი. კოლმეურნეობის მოედანზე ყვავილების ბაზარზე ნაყიდი ვარდების თაიგული მივუგდე და სახლში მივიყვანე. ავთოს მიერ დაკრეფილი ყვავილები ლარნაკში ფრთხილად მოვათავსე და ყველანაირად ვეცადე, რაც შეიძლებოდა დიდხანს შემენარჩუნებინა მათთვის სიცოცხლე.

ორთაჭალაში, ყვავილების სათბურში მისვლაზე სამუდამოდ ავიღე ხელი. არ მინდოდა მათი სიკვდილის უნებური მომსწრე ვყოფილიყავი.

თუ ყვავილები მჭირდებოდა, მაღაზიაში, ან კოლმეურნეობის მოედანზე ვყიდულობდი.

ოთხი თვეც არ იყო გასული იმ დღიდან, რაც ავთოს ბაღში ვარდების აღსარების უნებური მოწმე გავხდი, რომ მისმა მეუღლემ დამირეკა, ავთო გარდაიცვალაო.

ცხადია, მეყვავილეზე ათასჯერ მეტად ახლობელი ადამიანებიც მყავდა მიბარებული მიწას, მაგრამ მე მგონი ასე ცუდად არასოდეს გავმხდარვარ. ყველა პანაშვიდს შეძლებისდაგვარად ვესწრებოდი.

როცა ავთო სამარეს მიაბარეს, მის მეუღლეს ვთხოვე, ჩემთვის კარგად ნაცნობი შავი ვარდი, მის საფლავზე გადაერგათ.

— ვერ იხარებს, თორემ ერთი წუთითაც არ დავფიქრდებოდი...

გამიკვირდა, ყოველგვარი კითხვების გარეშე რომ დამთანხმდა. მიმიხვდა ჩანაფიქრს, ხელი ხელზე ნაზად შემახო და სევდიანად ჩაილაპარაკა:

— მე მეგონა, მარტო მე ვიცოდი, ჩემი ქმრის ტრფიალი ამ ვარდის მიმართ...

ჩემი სულის ბაზავხული

ხანგრძლივი ძილის შემდეგ, ახლადგამოღვიძებულმა, გიჟმა მარტმა ნაირფერი ფარჩა გაშალა და ჩვენც სიცოცხლის წყურვილით აღგვავსო. მზემაც როგორც იქნა მარწუხები შემოიხსნა და თავის კაშკაშა სხივებით უკვე საკინძეშეხსნილ დედამიწას გულ-მკერდი გაუთბო. ფრინველთა ამუსიკებულმა ჟღერადობამ არემარე გააყრუა. სიცოცხლის ჰარმონიას აჰყოლია ახლადაქოჩრილი ველ-მინდვრები, ტყეები, მინდვრის ყვავილები, რომელთა მოქარგული ხალიჩა ფერთა გამისა და ჯადოსნური ფუნჯის შედევრს წააგავს.

იებს არ იკითხავთ? — სითბოსაგან დამზრალი მიწის ნაპრალებიდან ამოხეთქილი სიცოცხლის შადრევანს ქმნიან...

და აი, დადგა 15 მარტი. გაზაფხულმა ჯერ კიდევ ფეხი კარგად ვერ მოიკიდა და სასომიხდილი თებერვალი თავისებურად წასვლას აჭიანურებს. ცივა, მაგრამ ისე არა, როგორც 15 დღის წინ, ცოტა წვიმს კიდეც. ყოჩივარდებს ახლადგახელილ თვალზე ცრემლი უციმციმებთ, მწვანე ფოთლებით კი ერთმანეთს, მხრებს უსწორებენ, თითქოს ახლადშობილ პირმშოს თავიანთი ხელით ნაქსოვ ფარდაგს უმზადებენო. აი, ამ დროს დავბადებულვარ, გარიჟრაჟისას. ჩემ მშობლებს მშობლად ნათლობისა და პირველი შვილის შეძენას ერთად ულოცავდნენ. ნინო ბებიას სახელია, ჩემთვის წინასწარ შერჩეული. მადლობელი ვარ უფლის სიცოცხლისა და შემდეგ კი ღამაზი ცხოვრების ჩუქებისათვის. მაქვს ბედნიერი ოჯახი, მშობლები, სიძეები, რძალი, მეუღლე, ორი შვილი, უამრავი მეგობარი და კეთილისმსურველი. მაქვს ჩემი საქმე, რაც ძალიან მიყვარს, კალამთან ერთად თავს ბედნიერად ვგრძნობ, ვფიქრობ ჩემი „გულის, გრძნობის და გონების“ მონაწური სიტყვათა მწკრივი მკითხველთათვის სიამოვნების მიმნიჭებელია. ბედნიერი ვარ, რომ 45 წელი ჩემი ბედის სკივრის საკუთრება გახდა, დაწერილი სცენარი მეორდება, რომლის მთავარი გმირი თქვენთან ერთად კვლავ ბევრ კეთილ საქმესა და ბედნიერ წუთებს გაჩუქებთ.

მარტი ჩემი ოჯახისთვის საზეიმო თვეა. მეუღლე მსოფლიო ქალთა დღესასწაულზე 8 მარტს დაიბადა, ხუმრობს კიდეც, ჩემს დაბადებას მსოფლიო ქალთა დასი აღნიშნავსო. გაზაფხული ჩემი სულის დღესასწაულია. ჩემი ორი ნანატრი შვილი კი ივნისის თვისგან ჩემდამი მოძღვნილი აუწონელი საჩუქარია.

გმადლობთ უფალო ყველაფრისთვის.

ბედნიერი ვარ, რომ მყავს ოჯახი, მეგობრები და ბევრი ახლობელი.

თქვენ კი, ჩემო მკითხველო, მშვიდობიან და ბედნიერ გაზაფხულს გისურვებთ.

ნონო რეხვიაშვილი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ქალბატონებს ულოცავს 3 და 8 მარტს

ნელი ყრუაშვილი



ნელი ყრუაშვილი დაიბადა ცაგერის რაიონის სოფელ ლესინდში, 1949 წლის 20 მაისს. სწავლობდა დეხვირის რვაწლიან სკოლაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა, შემდეგ IX-X კლასებში კიორბელის საშუალო სკოლაში, რომელიც 1966 წელს დაამთავრა. ამავე წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებში შექმნა ოჯახი. ჰყავს სამი შვილი და შვიდი შვილიშვილი. უფროსმა შვილმა პაატა ყრუაშვილმა, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და თავისი სპეციალობით რამდენიმე წელი მუშაობდა მშობლიურ რაიონში. ამჟამად დედაქალაქში სასტუმრო „ვეძისის“ დირექტორია. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი — გიორგი და ნინო. მეუღლე ნონა აბუთიძე პედაგოგია. ამავე სასტუმროს მეპატრონეა მისი შვილი თამარ ყრუაშვილი, რომელიც პროფესიით პედაგოგია, ჰყავს ორი შვილი — დემური და გიორგი ბაღდავაძეები, დემური უკვე სტუდენტია, უმცროსმა შვილმა, ზაალ ყრუაშვილმა, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და მუშაობს შპს „ევროცემენტში“ დირექტორის მოადგილედ. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი — ნიკოლოზი, ლუკა და დავითი. მეუღლე სოფო ჭარბაძე პროფესიით პედაგოგია.

1968 წლიდან მუშაობს მასწავლებლად. ჯერ ზედა ჭყვიშის დაწყებით სკოლაში, ხოლო 1974 წლიდან დღემდე მუშაობს ჭრებალოს საჯარო სკოლაში მისი უსაყვარლესი პროფესიით. მისი სიხარული, სიყვარული და ბედნიერება მისი შვილები და შვილიშვილებია. ასევე ძალიან უყვარს მისი ყოფილი და ახლანდელი მოსწავლეები. ცდილობს, ერთგულად, დაუღალავად ემსახუროს ოჯახს და სკოლას.

მაია ვაჩაძე

მაია ვაჩაძე დაიბადა 1961წ 13 იანვარს ქ. ამბროლაურში ანგი ვაჩაძის და ნანი ოშხერელის ოჯახში. მყავს ძმა -დავით ვაჩაძე. 1961-1978 წწ. სწავლობდა ამბროლაურის საშ. სკოლაში. 1980-1984 წწ. ჩაირიცხა ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სკოლამდელი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალობაზე. 1984-1986 წწ. მუშაოდა რაჭის სამთო ქიმიური ქარხნის საბავშვო ბაღში აღმზრდელ მასწავლებლად. 1986-1991წწ. დაინიშნა ამბროლაურის რაიონის აღმასკომის საორგანიზაციო გაყოფილების ინსტრუქტორად.

1991-1994წწ. მუშაობდა ქ. ამბროლაურის, სოფ. ჭრებალოს ბაგა-ბაღის აღმზრდელად.

2000 წლიდან დაიწყო მუშაობა შპს მაგთიკომის ამბროლაურის ოფისის მენეჯერად, სადაც დღესაც მუშაობს. ჰყავს მეუღლე - სოსო ჭიღვარია. შვილები: გვანცა ჭიღვარია, მირიან ჭიღვარია.

ვერა დარახველიძე

ვერა დანიელის ასული დარახველიძე, დაიბადა 1937 წლის 20 მაისს სოფელ ბუგეულში, 1954 წელს დაამთავრა ბუგეულის საშუალო სკოლა, 1960 წელს დაამთავრა ქ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, 1960-1961 წელს მუშაობდა ქ. ამბროლაურის პირველ საშუალო სკოლაში დაწყებით კლასებში სახვითი ხელოვნების მასწავლებლად, 1961-1995 წლებში მუშაობდა სოფელ ხვანჭკარის არასრული საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგად, 1987 წელს მიღებული აქვს შრომის მედალი და დამსახურებული პედაგოგის წოდება: ჰყავს მეუღლე, სამი შვილი, ოთხი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი.

იზოლდა დარახველიძე

იზოლდა სიმონის ასული დარახველიძე დავიბადე 1940 წლის 4 ივლისს ამბროლაურის რაიონის სფელ ბოსტანაში.

მამა — სიმონ ივლიანეს ძე დარახველიძე გარდაიცვალა 1992 წელს.

დედა — ეკატერინე ალექსანდრეს ას. დარახველიძე გარდაიცვალა 1990 წელს.

1958 წელს დავამთავრე სადმელის საშუალო სკოლა, ხოლო 1963 წელს საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო კვლევითი ინსტიტუტის ზოოტექნიკური ფაკულტეტი ზოოინჟირნის კვალიფიკაციით.

1962 წელს არჩეული ვიყავი კომკავშირის ამბროლაურის რაიკომის მეორე მდივნად, პარტიული და საბჭოთა ორგანოების რეორგანიზაციის გამო სხვადასხვა დროს ვმუშაობდი მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორად.

1965 წელს ამირჩიეს კომკავშირის ამბროლაურის რაიკომის პირველ მდივნად, პარტიის რაიკომის ბიუროს წევრად, რაიონული საბჭოს დეპუტატად.

1969 წელს გადაყვანილი ვიყავი საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში სამუშაოდ.

1975 წელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით დავბრუნდი მშობლიურ რაიონში სამუშაოდ, არჩეული ვიყავი პარტიის ამბროლაურის რაიკომის მდივნად და ბიუროს წევრად, ხოლო 1980 წელს - სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. აღნიშნული თანამდებობიდან განთავისუფლებული ვარ 1984 წელს ქ.თბილისში სამუშაოდ და საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დავინიშნე რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კადრებისა და აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი სამმართველოს უფროსად. 1989 წელს აღნიშნული საბინაო, კომუნალური მეურნეობის სამინიტროების შეერთებასთან დაკავშირებით დავინიშნე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების და საბინაო კომუნალური მომსახურების სამინისტროს კადრებისა და სოციალურ საკითხთა სამმართველოს უფროსად.

1990 წელს ზემოთ აღნიშნული სამინისტროდან საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგის კვლავ გამოყოფასთან დაკავშირებით დანიშნული ვიყავი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კონცერნ „საქელფსერვისის“ კადრებისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსად.

1994 წელს დავინიშნე რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტში, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სამმართველოში განყოფილების უფროსად, ხოლო აღნიშნული კომიტეტის რეორგანიზაციის შემდეგ 1999 წელს დავინიშნე სახალხო დამცველის აპარატში მოქალაქეთა მიღებისა და მომართვების დამუშავების განყოფილების უფროსად, სადაც ვიმუშავე 2006 წლამდე. 2006 წელს გავედი პენსიაზე.

სხვადასხვა დროს დაჯილდოვებული ვარ სამკერდე ნიშნებით, სიგელებით, შრომის ვეტერანის მედლით.

მეუღლე - ზურაბ იაკინთეს ძე პეტრიაშვილი გარდაიცვალა 2015 წელს.

მყავს შვილი - ზვიად ზურაბის ძე პეტრიაშვილი, დაბადებული 1973 წელს, სპეციალობით იურისტი, დროებით უმუშევარი. შვილიშვილები -ანასტასია და მარი.

როგორ აღმოაჩინა ზურაბ ქაფიანიძემ შუმერული ანბანის რიცხვობრივ-ხაზობრივი და კოსმიური სისტემის ფორმულა



„ნეილონის ნაძვის ხე“, „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“, „წიგნი ფიცისა“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „დათა თუთაშხია“, „ხევსურული ბალადა“, „ბანდიტი აგურის ქარხნიდან“ ... 50-მდე როლი კინოში. ძალიან ძნელია წარმოდგენა, რომ ზურაბ ქაფიანიძე უკვე რამენიმე წელია ჩვენს გვერდით აღარ არის. ის ხუთი წლის წინ 74 წლის ასაკში გარდაიცვალა. გამორჩეულად ქართული გარეგნობის, ახოვანი, დამახასიათებელი ხმით, რაჭული აქცენტით და იუმორით, ნამდვილი პატრიოტი, ტკიოდა საქართველოსთვის მიყენებული ყველა ჭრილობა, ძალიან განიცდიდა ქვეყანაში ბოლოდროინდელ მოვლენებს, იმდენად, რომ ფაქტობრივად ის ამ დარდს გადაჰყვა. მის გასახსენებლად მის ქალიშვილს ლელა ქაფიანიძეს ვესტუმრეთ.



— ლელა, გაიხსენეთ თქვენი ცხოვრების ყველაზე ლამაზი წლები.

— ჩემი ყველაზე საუკეთესო პერიოდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებული 5 წელია. ამ პერიოდის მოგონებებით ვცხოვრობ დღემდე. სტუდენტობა საუკეთესო წლები იყო, იმ დროს შეძენილი მეგობრებიც. შემდეგი საუკეთესო პერიოდი, როგორც ყველა ქალისთვის, ჩემი შვილების დაბადებაა. რა თქმა უნდა, ბედნიერი წლები იყო, როცა მამა გვერდით მყავდა.

— როგორი იყო თქვენი და მამას დამოკიდებულება? როგორც ვიცი საკმაოდ მკაცრი ადამიანი იყო

— მამასთან ვმეგობრობდით, თუმცა ძალიან მკაცრი იყო. მე და ჩემს ძმას ბერდიას დაგვისვამდა და გვიხსნიდა სად, ვისთან, როგორ მოვქცეულიყავით. ჩვენც ვუსმენდით და როგორც შეგვეძლო ვასრულებდით. არ იყო ადვილი ზურას შვილობა და დღემდე მომყვება ეს განცდა. თითქმის ყველაფერი იცოდა, ისე ნაბიჯს ვერ ვდგამდი. მკაცრად მოითხოვდა შვილებისგან წესიერად გვეცხოვრა და არაფერი შეგვშლოდა. სულ მეუბნებოდა, დამირეკე სადაც ხარ და იყავი იმდენხანს, რამდენიც საჭიროაო. კიდევ მეუბნებოდა, ვისაც გინდა მას გაჰყევი, ოღონდ არ გაიპაროო. მართალია შვილების მიმართ მკაცრი იყო, მაგრამ ამავდროულად ძალიან

თბილი, გულღია, ლაღი, მეგობრული, მოსიყვარულე იყო. მეგობრებთან და ნაცნობ თუ უცნობებთან უფრო თბილი, ასეთ სიმკაცრეს არ გამოხატავდა. ისე კი შევსწრებივარ მეგობრებისგანაც მოითხოვდა მკაცრად კაცობას და წესიერებას, მათაც არიგებდა ხოლმე ჭკუას, ოღონდ ზომიერების ფარგლებში, ისე რომ არ სწყენოდათ. სხვათაშორის, მაგას ჩემი მეგობრებიც მეუბნებოდნენ — ვერ წარმოგვიდგენია მამაშენი რბილი და წყნარიო. სახლში სულ სხვანაირი იყო.



— თუ ყოფილა ისეთი პერიოდი თქვენი ოჯახის ცხოვრებაში, როცა გიჭირდათ?

— ბედნიერი ბავშობა მქონდა, სტუდენტობაც, როგორც უკვე ვთქვი. იყო სირთულეებიც, გაჭირვება, მაგრამ ეს ალბათ ასე უნდა ყოფილიყო, ამის გარეშე არ არსებობს ცხოვრება.

— რა პერიოდს ამოიღებდით, რომლის გახსენება არ გსიამოვნებთ?

— სამუდამოდ ამოვშლიდი მამას ცხოვრების ბოლო დღეებს, როდესაც უკვე ძალიან ავად იყო და თვალებით შველას მთხოვდა, მაგრამ ვერ ვახერხებ, არ გამომდის ამის ამოშლა და დავიწყება. პირიქით, რაც დრო გადის მით უფრო მტკივა, თუმცა ბევრჯერ უთქვამს, რომ არ უნდოდა ასეთ საქართველოში ცხოვრება და არც ეშინოდა სიკვდილის. ძალიან დარდობდა და გულთან ახლოს მიჰქონდა ქვეყანაში რაც ხდებოდა 4 წლის წინ. მისთვის სამშობლო იყო უპირველესი და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შეეწირა კიდეც ქვეყნის მაშინდელ მდგომარეობას.

— როგორი დამოკიდებულება ჰქონდა თავის როლების მიმართ, რა მოწონდა, რა არ მოსწონდა თუ არ უყურებდა თავის თავს ეკრანზე?

— ყველა თავისი როლი უყვარდა, რადგან ბოლომდე იხარჯებოდა, არ ჰქონდა მნიშვნელობა მთავარი იყო თუ მეორეხარისხოვანი. ივანე კოტორაშვილის გმირი მოსწონდა და უყვარდა ძალიან, თუმცა ამას არ ამბობდა, ვატყობდი სახეზე როგორი სითბოთი უყურებდა.

— როგორც ვიცი რაჭა ძალიან უყვარდა. გიყვებოდათ თავის ბავშვობაზე?

— მისი ბავშობა სოფელს უკავშირდება, რაჭაში დაიბადა და გაიზარდა. დედის მხრიდან ბაბუა და ბებია ზრდიდნენ ძირითადად. შრომობდა სოფელში როგორც ყველა, ეხმარებოდა უფროსებს. ძალიან უყვარდა იქ ყოფნა.

— როგორი იყო სიცოცხლის ბოლო წლებში?

— ბოლოს უჭირდა საუბარი და ვცდილობდი არ შემეწუხებინა.

თვითონ არვიცი რას გრძნობდა, მაგრამ ეტყობოდა რომ ვაჟკაცურად ეკავა თავი, მაინც ეტყობოდა იმედი სახეზე, შეიძლება მე მინდოდა ასე რომ ყოფილიყო. ძნელი ყოფილა მშობლის დაკარგვა.

— მამას თავისზე ბევრად უმცროსი დები ჰყავს. საინტერესოა როგორი იყო ძმისა და დების ურთიერთობა?

— მამას ორი და ჰყავს. სხვათაშორის, მათ შორის ძალიან დიდი ასაკობრივი სხვაობაა. ერთი და მამაზე 15 წლით უმცროსია, მეორე — 18 წლით. მამა იხსენებდა: სტუდქალაქში რომ ვცხოვრობდი, ოთახში, საწოლთან მათი ფაჩუჩები მეკიდაო. თითქმის მათი გაზრდილები ვართ. ახლა ვმეგობრობთ. შორიდან რომ შეხედავთ, ვერ იტყვით რომ მამიდაა, ყველას ჰგონია რომ მეგობრები ვართ. ალბათ გამიჭირდება განვასხვავო დედა და მამიდა ერთმანეთისგან.

— ფილოლოგის განათლებით ხართ. მსახიობობა არასდროს გნდომებიათ?

— არა, არ მქონია სურვილი, არც ნიჭი მაქვს მსახიობობის. იმიტომ, რომ მამაჩემი იყო მსახიობი, ხომ ვერ ჩავაბარებდი თეატრალურში? ისე, მე და ჩემი ძმა ვართ გადაღებული ფილმში "წიგნი ფიცისა", ქეთევანის შვილებს ვთამაშობთ.

P.S. ზურაბ ქაფიანიძემ წლების წინ გამოსცა წიგნი „შუმერი". დაარსა ამავე სახელწოდების სამეცნიერო ცენტრი. 40 წლის შრომის შედეგად ახსნა ძვ. წ. V-III ათასწლეულების შუმერული თიხის ფირფიტები და ბეჭდები, თიხის შუმერული ჭურჭლის მოხატულობა და სარკოფაგთა წარწერების ხაზობრივი სისტემა, აღმოაჩინა ანბანის რიცხვობრივი ხაზობრივი და კოსმიური სისტემის ფორმულა, რითაც თითქოსდა, ცხადი გახდა უძველესი ქართული ასომთავრულის შუმერული წარმომავლობა. ასევე ამტკიცებდა, რომ აღადგინა ძვ. წ. 5604 წლის შუმერული კალენდარი. ეს წიგნი საკმაოდ სერიოზული და როგორც უკვე ვთქვი, მრავალი წლის შრომის შედეგია. მას ვერ შეხვდებით წიგნის მაღაზიაში. მისი შეძენა შესაძლებელია მხოლოდ ბატონი ზურას ოჯახიდან. ვისაც სურვილი გაგიჩნდებათ შეგვიძლია დაგაკავშიროთ ქაფიანიძეების ოჯახს და შეიძინოთ ეს საინტერესო წიგნი.

ეკა პატარაია

ცოტნეს მხრებს საქართველოს დროშა უმშვენებს

პატარა ცოტნე, ზაფხულობით ბებია-ბაბუის ხშირი სტუმარი იყო. მერცხალივით ადრეულ გაზაფხულზე რომ წავიდოდა, სკოლის დაწყებამდე უკან ვერავინ დააბრუნებდა. ნაზიკო ბებო და აპოლონ ბაბუა განსაკუთრებულ მზურველობას იჩენდნენ პატარა, მკვირცხლი ბიჭის მიმართ. არც ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს აკლებდნენ, არც ხინკალსა და ტკბილეულს. ასე იზრდებოდა ცოტნე სოფელ გლოლაში, სუფთა ჰაერზე, ჯანსაღ ატმოსფეროში. ვინ იცოდა, რომ ეს კაფანდარა, პატარა ბიჭი ახლო მომავალში ქვეყნისა და ერის სიამაყე გახდებოდა. ძალა ბავშვობიდან ერჩოდა. ბედი კინგ-ბოქსინგში მოსინჯა. ვარჯიში 2007 წლიდან დაიწყო და შედეგმაც არ დააყოვნა: **საქართველოს რვა გზის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი, თბილისის მერიის თასის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი, პროფესიონალებში ქამრის მფლობელი, სამგზის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა.**

აი, ეს არის ამ ახალგაზრდა ყმაწვილის წარმატებების ნუსხა, რაც მთელი რაჭისა და ქვეყნის სიამაყე და სამშვენისია. ცოტნეს წარმატებებით ხარობს ოჯახი, მშობლები, ბებია, ბაბუა, ახლობლები, ნათესავები, მეგობრები.

სულ ცოტა ხანში ცოტნე შვეიცარიაში მსოფლიო ჩემპიონატზე საასპარეზოდ ემზადება.

წარმატებას ვუსურვებთ ცოტნე სულთანიშვილს დიდი ბრძოლის გზაზე. დაე, მუდამ ამაყად ეტარებინოს მხრებით საქართველოს დროშა, რომელიც აგრერიგად უხდება წარმატებულ ჭაბუკს.

ნინო რეხვიაშვილი

რაჭას ვსტუმრობ, განუოცდება მეძნელება

ლეილა გაფრინდაშვილი

რაჭას ვსტუმრობ

რიყრაყია,
რაჭას ვსტუმრობ ოცნებებში
მკერდს საკინძე შემიბნიეს ენძელებმა,
გვრიტებმა კაბის კალთა მომიხატეს
ხამოთხვა, განშორება მეძნელება.
ცივ წვარობ წყეთს მარგალიტის
მმიყად ვკინძავ,
გუდა-სტვირის ხმა ჩამესმის, მეძღერება...
მოყიარე გლოლა, შოკი, მრავალძალი,
ლებანიძის ბოეზია მეგებება.
კალმით ხელში
რაჭის ხიოს რითმებს ვტაცებ
ჩემი გრძნობა ხიეკარულის ზიარია,
„ხეკბეკური, ციცო ქვაზე დახათხლეში“
„გაზაფხული, ლენ, ჩიტების რია-რია“.
ნიკორწმინდის ზარს შემოჰკრეს რაჭველებმა,
აწკრიალდა, არემარე გააკრუა,
რიონს მოხდეკს, მთის ჰანგების ჰარმონია
„ბალახს ქალის ხუნი ახდის“ – გამაბრუა.
ვოჩიკარდამ თმები ბაფთით დამიშეკონა
მკერდს საკინძე შემიბნიეს ენძელებმა,
რითმებს ვანდობ ჩემი გულის ამოძახილს
რაჭას ვსტუმრობ, განშორება მეძნელება.

ტიტა

მწვანე ველზე ამოხულო ტიტავ!
ახლოს მოვალ შეგეხები ნაზად
ხილამაზეს ხელი როგორ ვახლო?
რომ მოგწვიტო, არც მომიყა აზრად.
გაზაფხულის მშვენიერო ტიტავ!
რა ნაზი და თავმომწონე ჩანხარ,
თვალს ახარებ, ხულს ესალბუნები
გული მწვდება, რომ მუდმივად არ ხარ.
მე დაგტოვებ,
მაგრამ ხხვები მოვლენ
მოგწვეტენ და...
დაკიღვრები ცრემლად,
გაზაფხულის ნაზო ბატარმალო
ილალე და, იბიბინე ველად!

ზღვის ნაბირას

ზღვის ტალღები
რიეს ჯიქურ ეხეთქება
წვეილის თვალთა
უეცარი შეფეთება
ორნი დგანან:
გოგო – ნაზი, თმაგაშლილი,
ვაკი – მხარბეჭკადაშლილი.
ბაგე – ბაგეს შეეწება...
გრძნობის ქოლგა გაიშალა,
ხიეკარულის იალქანი, აიშალა.
ცა ბირქეშობს...
ხაკვდაროდ ემზადება
ბიჭი გოგოს
უფრო ხარბად ეტანება,
ღრუბლებს ფანტავს
ხიეკარულის ნეტარება.

გივი თოიძე
„ნიკორწმინდა“